საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური



# ქალი და კაცი საქართველოში

სტატისტიკური პუბლიკაცია

თბილისი - 2025

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ქალი და კაცი საქართველოში

სტატისტიკური პუბლიკაცია

თბილისი - 2025

# შინაარსი


გენდერული თანასწორობა 4

გენდერული სტატისტიკის მნიშვნელობა 5

ქვეყანაში განხორციელებული აქტივობები 6

მეგზური მკითხველისთვის 10

მოსახლეობა 12

ჯანმრთელობის დაცვა 34

განათლება და სპორტი 46

სოციალური უზრუნველყოფა 62

სამუშაო ძალა, ხელფასები 68

ცხოვრების დონე 84

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები 94

ბიზნეს სექტორი 102

სოფლის მეურნეობა 112

სამართალდარღვევები 120

ხელისუფლება 130

ცნებები და განმარტებები 138

შენიშვნები 152

## პირობითი აღნიშვნები

...   მონაცემი არ არსებობს

-   მოვლენა არ არსებობს

0.0   მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

## შემოკლებები

საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

SDGs - Sustainable Development Goals (მდგრადი განვითარების მიზნები)

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ცალკეულ შემთხვევებში განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

© საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025.

www.geostat.ge

# გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალისა და კაცის, გოგოსა და ბიჭის თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს. თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ქალი და კაცი იდენტურნი უნდა გახდნენ, თანასწორობა გულისხმობს იმას, რომ ადამიანის სქესი არ უნდა განსაზღვრავდეს მის უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. გენდერული თანასწორობა გულისხმობს, რომ როგორც ქალების, ასევე კაცების ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები მიიღება მხედველობაში ქალებისა და კაცების ჯგუფების მრავალფეროვნების გათვალისწინებით[1].

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ცვლილებები დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წელს) და საქართველოს კანონი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წელს), უზრუნველყოფს ქალებისთვის და კაცებისთვის თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს, ასევე აღიარებს განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობას ქალებსა და კაცებს შორის არსებითი თანასწორობის მისაღწევად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

2006 წლის საქართველოს გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიხედვით, გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. იგი გულისხმობს ქალთა და კაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში. ამასთანავე, გენდერული თანასწორობა მდგრადი და ადამიანზე ორიენტირებული განვითარების წინაპირობა და მაჩვენებელია[2].

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგოების გაძლიერება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაწილია. აქ წარმოდგენილი სქესის ნიშნით გაყოფილი რაოდენობრივი მონაცემები არა მხოლოდ ქალებისა და კაცების მდგომარეობას ასახავს საქართველოში, არამედ, ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

---

1) გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული მეინსტრიმინგი - ცნებები და განმარტებები. ხელმისაწვდომია აქ: https://www.un.org/womenwatch/osagi/conceptsandefinitions.htm

2) იხილეთ იქვე.

# გენდერული სტატისტიკის მნიშვნელობა

გენდერული სტატისტიკა - ეს არის სტატისტიკა ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა ქალების, კაცების, გოგოებისა და ბიჭების პრიორიტეტები და საჭიროებები იმგვარად იყოს გათვალისწინებული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესებში, რომ უზრუნველვყოთ ამ პოლიტიკის მიერ მოტანილი სარგებლის და შედეგების თანასწორობა ყველასთვის.

გენდერული სტატისტიკის მიზანია მიუკერძოებელი მონაცემების წარმოება ქალისა და კაცის სტატუსისა და გენდერული თანასწორობის რეალური ვითარების შესახებ. სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური აღრიცხვის მიხედვით მონაცემთა შეგროვების სრულყოფა და გაფართოება მეტად მნიშვნელოვანია გენდერულ თემატიკაზე მომუშავე პირებისთვის, საკანონმდებლო ორგანოს, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაცია საქართველოს მთავრობამ 2015 წელს დაიწყო და გლობალური 17 მიზნის ადაპტაციით, განსაზღვრა საქართველოსთვის პრიორიტეტული ამოცანები, მაჩვენებლები და მიზნები. SDG დღის წესრიგის განხორციელებით, 2030 წლისთვის ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მდგომარეობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით; SDG მიზანი 5 თანმდევი ამოცანით ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესებას. გენდერული მაჩვენებლები და სამიზნეები გაწერილია აგრეთვე სხვადასხვა მიზანში, რომელთა ამოცანების შესრულება ასევე მნიშვნელოვანია. წინამდებარე პუბლიკაციაში ასახულია საქართველოს გენდერული სტატისტიკის კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამის მაჩვენებლებთან.

# ქვეყანაში განხორციელებული აქტივობები

1994 განხორციელდა CEDAW კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

1995 მიღებული იქნა პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;

1999 მიღებული იქნა 511-ე დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერების შესახებ საქართველოში; მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის ვალდებულებების პროაქტიური განხორციელების კუთხით, რომელიც განსაზღვრულ იქნა CEDAW, BPfA, MDGs, მოსახლეობის განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე (ICPD) სამოქმედო პროგრამის შესაბამისად, კერძოდ:

1) ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების ფარგლებში ქალთა უფლებების უზრუნველყოფა;

2) ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაგირება;

3) კონფლიქტურ რეგიონებში ქალთა საკითხების გადაწყვეტა და მცდელობები ღონისძიებების განსახორციელებლად;

4) ქალთა რიცხოვნობის გაზრდა ძალაუფლებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

2004 შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო;

2004 განხორციელდა ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) ეროვნულ დონეზე მორგება: მიზანი 3 - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა უფლებების გაძლიერება:

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა დასაქმების სფეროში;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა პოლიტიკურ სფეროსა და მენეჯმენტის ყველა საფეხურზე;

2005 შეიქმნა გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია;

2006 დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია;

2006 დამტკიცდა საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;

2006 დამტკიცდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;

2010 დამტკიცდა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;

2012 განხორციელდა ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის დანაშაულად გარდაქმნა;

2013 შეიქმნა თანამდებობა - პრემიერ მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში;

2013 სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, როგორც მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული;

2013 სახალხო დამცველის აპარატმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისთვის, ასევე, გაეროს ტექნიკური დახმარებით შემუშავდა სტრატეგია გენდერის მეინსტრიმინგთან დაკავშირებით;

2014 დამტკიცდა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

2014 ხელი მოეწერა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (ე.წ. სტამბულის კონვენცია);

2014 განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების პირველი ტალღა, კანონმდებლობის ჰარმონიზება სტამბულის კონვენციის შესაბამისად;

2015 საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია, დაინიშნა კოორდინატორი გენდერულ საკითხებში;

2016 შეიქმნა ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო;

2017 მოხდა ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენციის რატიფიცირება;

2017 შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

2018 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი;

2018 დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის;

2019 საქართველომ აირჩია ქალი პრეზიდენტი;

2019 საქართველომ გაეროში წარადგინა პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 25 წლის განხორციელების ანგარიში;

2020 საქართველოს ევროპის საბჭოს გრევიოს კომიტეტს წარუდგინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის განხორციელების პირველი ანგარიში;

2020 საქართველომ გაეროს წარუდგინა CEDAW კონვენციის მეექვსე პერიოდული ანგარიში;

2020 საარჩევნო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოში პირველად შემოღებულ იქნა კვოტები ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით;

2021 საქართველო შეუერთდა თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციას;

2021 საქსტატმა დაამტკიცა გენდერული სტატისტიკის სტრატეგია;

2022 დამტკიცდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამოქმედო გეგმა და კომუნიკაციის სტრატეგია 2022-2024 წლებისათვის;

2022 დამტკიცდა პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის შეფასების მექანიზმი და მომზადდა შესაბამისი ანგარიში;

2022 დამტკიცდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა;

2022 დამტკიცდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი;

2022 დამტკიცდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა;

2022 დამტკიცდა „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“;

2022 დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის 2022-2027 წლების სტრატეგია და საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 2022-2024;

2023 დამტკიცდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია;

2023 დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა;

2023 დამტკიცდა საჯარო სამსახურის ბიუროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

2023 დამტკიცდა საჯარო მმართველობის რეფორმის 2023–2026 წლების სტრატეგია და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა;

2023 დამტკიცდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმა;

2024 დამტკიცდა ცვლილებები "საქართველოს საარჩევნო კოდექსსა" და "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" კანონში, რომლის თანახმადაც გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტირებისა და პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური წახალისების მექანიზმი;

2025 საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის ფარგლებშიც კანონმდებლობიდან ტერმინი „გენდერი" ამოღებულ იქნა, ხოლო ჩანაწერი „გენდერული თანასწორობა" შეიცვალა ჩანაწერით „ქალისა და მამაკაცის თანასწორობა";

2025 „გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გაუქმდა მუნიციპალიტეტებში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოები. აღნიშნული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტებში შეიქმნება ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოები. გარდა ამისა, გაუქმდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, ხოლო მის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს პარლამენტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია.

# მეგზური მკითხველისთვის

"ქალი და კაცი საქართველოში" გენდერული პრობლემებისადმი მიძღვნილი მეჩვიდმეტე სტატისტიკური პუბლიკაციაა.

პუბლიკაციაში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ასახავს ქვეყანაში ჩამოყალიბებული გენდერული თანასწორობის 2024 წლის ძირითად ტენდენციებს. უმრავლეს შემთხვევაში ცხრილებში და დიაგრამებში წარმოდგენილია აბსოლუტური რიცხვები/რაოდენობა ან პროპორციები. პროპორციები/პროცენტული განაწილება წარმოდგენილია ორგვარად: პროცენტული წილი და სქესის მიხედვით განაწილება:

- პროცენტული წილი - გარკვეული მახასიათებლის პროპორცია თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე; მაგალითად, ქალი სტუდენტების განაწილება სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით;
- სქესის მიხედვით განაწილება - გარკვეული მახასიათებლის განაწილება სქესის მიხედვით; მაგალითად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტი ქალების და კაცების პროცენტული წილი.

პუბლიკაცია მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს გენდერული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებასა და გენდერული თანასწორობის სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას.

მონაცემები ემყარება საქსტატის გამოკვლევებს და ადმინისტრაციულ წყაროებს.

ცალკეულ შემთხვევებში განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქმიანი შენიშვნები და წინადადებები პუბლიკაციის ფორმატისა და შინაარსის შესახებ, ავტორთა ჯგუფის მიერ მადლიერებით იქნება მიღებული.

ქალი და კაცი
საქართველოში

# მოსახლეობა



1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან, საქართველოს მოსახლეობამ არსებითი ცვლილებები განიცადა. მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა ფართომასშტაბიანი მიგრაციული პროცესების შედეგად. ამას მოჰყვა სიკვდილიანობის და შობადობის მკვეთრი შემცირება.

2002 წლიდან 2025 წლამდე პერიოდში, 65 წლის და უფროსი ასაკის ქალების წილი ქალების მთლიან რიცხოვნობაში, 15.3 პროცენტიდან 10.4 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო კაცებში იგივე მაჩვენებელი 10.9 პროცენტიდან 6.2 პროცენტამდე არის შემცირებული.

ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩვეულებრივ, ბიჭი უფრო მეტი იბადება, ვიდრე გოგო. იგივე ტენდენცია, წლების მანძილზე, საკმაოდ სტაბილურად არის გამოხატული საქართველოშიც. ახალშობილი ბიჭების წილი 52.2 პროცენტს შეადგენს. ამრიგად, 30 წლამდე ასაკში, კაცების რიცხვი აღემატება ქალების რაოდენობას. თუმცა 30 წლის და უფროს ასაკში, ქალების რიცხოვნობა სჭარბობს კაცების რიცხოვნობას, ამ უკანასკნელთა მაღალი მოკვდაობის გამო. საერთაშორისო მასშტაბით, კაცებში მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი გარკვეულწილად ქცევით ხასიათს ატარებს: გენდერული განსხვავება ალკოჰოლის მოხმარებაში, მწეველებში, სარისკო აქტივობებში მონაწილეობაში, ისეთები, როგორიცაა ავტომანქანის მართვა, განსაზღვრავს ქალების სიცოცხლის უფრო მაღალ ხანგრძლივობას კაცებთან შედარებით.

ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას უფრო მაღალია, ვიდრე კაცების. ამასთან, სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაში სქესის მიხედვით განსხვავებები არსებითია, ქალებისთვის შეადგენს 79 წელს, ხოლო კაცებისთვის 71 წელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო წლებში ცოცხლად დაბადებულებში გოგოებისა და ბიჭების თანაფარდობა სტაბილური რჩება, რის გამოც სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას (დაბადებული ბიჭების რაოდენობა ყოველ 100 გოგოზე) შეადგენს დაახლოებით 110.8-ს. თუმცა საინტერესოა, რომ სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაში მნიშვნელოვანი შემცირება გამოვლინდა მესამე რიგითობის ბავშვის დაბადების შემთხვევაში: ამ მაჩვენებლის დონე ყველაზე მაღალი

იყო 2006 წელს და შეადგენდა 141-ს, თუმცა შეინიშნებოდა მუდმივი შემცირების ტენდენცია და 2024 წელს 118 შეადგინა, რაც მიუთითებს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხების დადებით განვითარებაზე.

მიგრაცია კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაში. ტრადიციულად მაღალია მობილობა კაცებს შორის: 2024 წელს კაცები შეადგენდნენ იმიგრანტების 60 პროცენტს და ემიგრანტების 60 პროცენტს. რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკმა, ბოლო 10 წლის განმავლობაში, სტაბილური ზრდა აჩვენა: ქალების ქორწინების საშუალო ასაკი 2014 წელს 28.1-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წელს - 32.4-ს. კაცების შემთხვევაში ანალოგიური ზრდა ნაკლებად იყო გამოხატული, მათი ქორწინების საშუალო ასაკმა შესაბამისად 31.3 და 34.8 წელი შეადგინა.

# მოსახლეობა

რიცხოვნობა (ათასი)

| წელი | მოსახლეობა | | ცოცხლად დაბადებულები | | გარდაცვალება | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 2014 | 1 945[1)] | 1 777[1)] | 29 | 31 | 24 | 25 |
| 2024 | 1 924[2)] | 1 781[2)] | 19 | 21 | 21 | 23 |

| წელი | იმიგრანტები | | ემიგრანტები | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 2014 | 33 | 49 | 37 | 52 |
| 2024 | 55 | 81 | 49 | 73 |

1) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2) 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

## მოსახლეობა ასაკის და სქესის მიხედვით

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)




[1] 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის გადაანგარიშებული მონაცემები.

[2] 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

## სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

კაცი 100 ქალზე

| ასაკი | |
|---|---|
| 0-4 | 108.3 |
| 5-9 | 106.9 |
| 10-14 | 108.1 |
| 15-19 | 112.1 |
| 20-24 | 109.2 |
| 25-29 | 108.8 |
| 30-34 | 103.0 |
| 35-39 | 100.2 |
| 40-44 | 99.0 |
| 45-49 | 96.9 |
| 50-54 | 95.1 |
| 55-59 | 88.7 |
| 60-64 | 80.0 |
| 65-69 | 72.1 |
| 70-74 | 63.0 |
| 75-79 | 54.5 |
| 80-84 | 45.6 |
| 85+ | 37.7 |

## მოსახლეობის მედიანური ასაკი




## ცოცხლად დაბადებულთა განაწილება სქესის მიხედვით

(%)



### სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას

ბიჭი 100 გოგოზე




### შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი

ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რიცხოვნობა



## მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო[1] და ნეტო[2] კოეფიციენტები




[1] ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული გოგოების საშუალო რიცხოვნობა.

[2] ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული გოგოების საშუალო რიცხოვნობა, რომლებიც იცოცხლებენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული ამ გოგოს დაბადებისას.

## შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი (SDG 3.7.2)

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 1 000 ქალზე,
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



## სქესთა თანაფარდობა დაბადების რიგითობის მიხედვით

ბიჭი 100 გოგოზე

| წელი | დაბადების რიგითობა: | | |
|---|---|---|---|
| | პირველი შვილი | მეორე შვილი | მესამე და მომდევნო შვილი |
| 2006 | 108 | 112 | 141 |
| 2007 | 108 | 113 | 139 |
| 2008 | 110 | 109 | 132 |
| 2009 | 106 | 109 | 133 |
| 2010 | 104 | 108 | 129 |
| 2011 | 108 | 105 | 125 |
| 2012 | 110 | 107 | 118 |
| 2013 | 106 | 104 | 122 |
| 2014 | 105 | 105 | 117 |
| 2015 | 105 | 108 | 121 |
| 2016 | 102 | 103 | 112 |
| 2017 | 107 | 105 | 114 |
| 2018 | 106 | 107 | 113 |
| 2019 | 106 | 106 | 113 |
| 2020 | 107 | 108 | 114 |
| 2021 | 106 | 109 | 113 |
| 2022 | 105 | 107 | 111 |
| 2023 | 107 | 108 | 114 |
| 2024 | 109 | 107 | 118 |

## მოზარდების შობადობის კოეფიციენტი

15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა ამავე ასაკობრივი ჯგუფის 1 000 ქალზე




## ცოცხლად დაბადებულების განაწილება მშობლების ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით

(%)



**სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას**
(წელი)



## გარდაცვალება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| ასაკი | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 0 | | 1 | 1 | 41 | 59 |
| 1-9 | | 0 | 0 | 49 | 51 |
| 10-19 | | 0 | 0 | 37 | 63 |
| 20-29 | | 0 | 1 | 23 | 77 |
| 30-39 | | 1 | 3 | 22 | 78 |
| 40-49 | | 2 | 6 | 22 | 78 |
| 50-59 | | 5 | 13 | 26 | 74 |
| 60-69 | | 13 | 24 | 33 | 67 |
| 70-79 | | 24 | 25 | 47 | 53 |
| 80+ | | 54 | 27 | 66 | 34 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | | |
| | რიცხოვნობა | 21 152 | 22 819 | | |

## მკვდრადშობადობა დედის ასაკის მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| ასაკი | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გოგო | ბიჭი | გოგო | ბიჭი |
| <15 | | 0 | 0 | 0 | 0 |
| 15-19 | | 3 | 5 | 38 | 62 |
| 20-29 | | 38 | 36 | 50 | 50 |
| 30-39 | | 46 | 50 | 47 | 53 |
| 40-49 | | 12 | 8 | 60 | 40 |
| 50+ | | 1 | 1 | 33 | 67 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **49** | **51** |
| | რიცხოვნობა | 151 | 158 | | |

## იმიგრანტების რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| ასაკი | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 0 | | 1 | 1 | 48 | 52 |
| 1-9 | | 6 | 5 | 47 | 53 |
| 10-19 | | 10 | 8 | 46 | 54 |
| 20-29 | | 23 | 25 | 38 | 62 |
| 30-39 | | 20 | 27 | 33 | 67 |
| 40-49 | | 14 | 17 | 35 | 65 |
| 50-59 | | 12 | 11 | 43 | 57 |
| 60-69 | | 10 | 5 | 57 | 43 |
| 70-79 | | 3 | 1 | 67 | 33 |
| 80+ | | 1 | 0 | 73 | 27 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **40** | **60** |
| | რიცხოვნობა | 54 859 | 80 952 | | |

## იმიგრანტების რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით, 2024

განაწილება (%)



## ემიგრანტების რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| ასაკი | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| | 0 | 2 | 2 | 43 | 57 |
| | 1-9 | 7 | 5 | 47 | 53 |
| | 10-19 | 8 | 7 | 42 | 58 |
| | 20-29 | 26 | 28 | 38 | 62 |
| | 30-39 | 21 | 27 | 34 | 66 |
| | 40-49 | 14 | 16 | 37 | 63 |
| | 50-59 | 11 | 10 | 45 | 55 |
| | 60-69 | 7 | 4 | 55 | 45 |
| | 70-79 | 3 | 1 | 66 | 34 |
| | 80+ | 1 | 0 | 73 | 27 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **40** | **60** |
| | რიცხოვნობა | 48 643 | 72 782 | | |

## ემიგრანტების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით, 2024

(%)



## ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲝᲑᲐ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, 2024

ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ (%), ᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲝᲑᲐ (ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ)

| | ᲐᲡᲐᲙᲘ | ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲬᲘᲚᲘ | | ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ᲥᲐᲚᲘ | ᲙᲐᲪᲘ | ᲥᲐᲚᲘ | ᲙᲐᲪᲘ |
| | <20[1] | 6 | 1 | 85 | 15 |
| | 20-29 | 44 | 39 | 53 | 47 |
| | 30-39 | 27 | 34 | 45 | 55 |
| | 40-49 | 14 | 15 | 47 | 53 |
| | 50-59 | 6 | 7 | 46 | 54 |
| | 60+ | 3 | 4 | 41 | 59 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | | |
| | რიცხოვნობა | 21 653 | 21 653 | | |

[1] არ მოიცავს 18 წლამდე ასაკის პირთა რეგისტრირებულ ქორწინებების რიცხვს, რაც განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით.

## დაქორწინებულთა საშუალო ასაკი

ყველა ქორწინება




## დაქორწინებულთა რიცხოვნობა ქალაქად და სოფლად, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| ასაკი | | ქალაქად | | სოფლად | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| | <20[1] | 4 | 1 | 9 | 1 |
| | 20-29 | 44 | 36 | 45 | 42 |
| | 30-39 | 29 | 36 | 24 | 30 |
| | 40-49 | 14 | 16 | 13 | 14 |
| | 50-59 | 6 | 7 | 6 | 7 |
| | 60+ | 3 | 4 | 3 | 5 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **100** | **100** |
| | რიცხოვნობა | 12 619 | 12 619 | 9 034 | 9 034 |

[1] არ მოიცავს 18 წლამდე ასაკის პირთა რეგისტრირებულ ქორწინებების რიცხვს, რაც განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით.

## განქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | ასაკი | ქალი | კაცი |
|---|---|---|---|
| | <20 | 0 | 0 |
| | 20-29 | 20 | 13 |
| | 30-39 | 37 | 36 |
| | 40-49 | 24 | 27 |
| | 50-59 | 12 | 14 |
| | 60+ | 7 | 10 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** |
| | რიცხოვნობა | 13 520 | 13 520 |

## განქორწინებულთა საშუალო ასაკი

ყველა ქორწინება



ქალი და კაცი
საქართველოში

# ჯანმრთელობის დაცვა



ბოლო 15 წლის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა სახელმწიფო ინვესტიციებმა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დანერგვამ, გამოიწვია ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. 2000-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობა 1000 ცოცხლად დაბადებულზე) ოთხჯერ შემცირდა და 2024 წელს ბიჭებისთვის 8.3-ს, ხოლო გოგონებისთვის 6.4-ს გაუტოლდა.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება 5 წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის კოეფიციენტში, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში გოგონებში 2.7-ჯერ, ხოლო ბიჭებში 1.8-ჯერ შემცირდა.

მეორე მხრივ, დადგენილია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში გასამმაგებულმა ჯანდაცვის ხარჯებმა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის შემოღებამ, გამოიწვია პაციენტების ვიზიტების რაოდენობის მინიმუმ 50%-ით გაზრდა, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის გადამდები და არაგადამდები დაავადებების უფრო მეტ რეგისტრირებულ რაოდენობას. ანალიზმა აჩვენა, რომ კაცებში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და ფსიქიკური აშლილობის ახალი შემთხვევები აღემატება ქალებში გამოვლენილ შემთხვევებს, ხოლო ქალებში კაცებთან შედარებით უფრო მეტია ახალდიაგნოზირებული ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევები.

სიკვდილის მიზეზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა საერთო რაოდენობაში ჭარბობს სიმსივნეები, რაც ქალთა მოკვდაობის მიზეზის 52 პროცენტს, ხოლო კაცთა სიკვდილიანობის 48 პროცენტს შეადგენს.

## ექიმების რაოდენობა (SDG 3.C.1)

სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|
| ქალი | | 74 | 75 |
| კაცი | | 26 | 25 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** |
| | რიცხოვნობა | 24 | 24 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## გარდაცვალების მიზეზები, 2024 (SDG 3.4.1)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სიმსივნეები | | 12 | 14 | 44 | 56 |
| სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები | | 45 | 38 | 52 | 48 |
| განზრახ თვითდაზიანება და თავდასხმა | | 0 | 1 | 18 | 82 |
| სხვა ავადმყოფობები | | 43 | 47 | 46 | 54 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **48** | **52** |
| | რიცხოვნობა | 21 | 23 | | |

## 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (SDG 3.2.1)

1 000 ცოცხლად დაბადებულზე

| | გოგო | ბიჭი |
|---|---|---|
| 2010 | 21.1 | 16.6 |
| 2011 | 18.0 | 13.0 |
| 2012 | 18.9 | 14.4 |
| 2013 | 17.3 | 13.7 |
| 2014 | 11.4 | 10.3 |
| 2015 | 10.8 | 9.6 |
| 2016 | 12.1 | 9.2 |
| 2017 | 11.8 | 10.4 |
| 2018 | 10.7 | 8.7 |
| 2019 | 10.1 | 8.5 |
| 2020 | 9.8 | 8.7 |
| 2021 | 10.7 | 9.3 |
| 2022 | 9.2 | 9.3 |
| 2023 | 9.0 | 10.0 |
| 2024 | 7.8 | 9.3 |

## ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (SDG 3.2.2)

1 000 დაბადებულზე



## დედათა გარდაცვალება (SDG 3.1.1)

რიცხოვნობა (ერთეული)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა

რაოდენობა (ათასი)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## ტუბერკულოზის გავრცელება (SDG 3.3.2)

სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | | 2006 | 2016 | 2024 |
|---|---|---|---|---|
| ქალი | | 31 | 30 | 32 |
| კაცი | | 69 | 70 | 68 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **100** |
| | რიცხოვნობა | 6 | 3 | 1 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## შიდსის შემთხვევათა რაოდენობა სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით (SDG 3.3.1)

სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | 2016 | 2020 | 2024 |
|---|---|---|---|---|
| ქალი | | 28 | 27 | 24 |
| კაცი | | 72 | 73 | 76 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **100** |
| | რიცხოვნობა | 269 | 181 | 251 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების შემთხვევები სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით

რიცხოვნობა (ათასი)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევათა რაოდენობა სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით (SDG 3.4.1)

რიცხოვნობა (ათასი)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ერთეული)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს სკრინინგით გამოკვლეულ ბენეფიციართა რიცხოვნობა

რიცხოვნობა (ათასი)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

# თვითმკვლელობათა რაოდენობა, 2024 (SDG 3.4.2)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 15 წლამდე | | 0 | 1 | 0 | 100 |
| 15-19 | | 8 | 2 | 40 | 60 |
| 20-29 | | 11 | 14 | 14 | 86 |
| 30-49 | | 22 | 32 | 12 | 88 |
| 50+ | | 59 | 51 | 19 | 81 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **100** | **100** |
| | რაოდენობა | 27 | 133 | | |

## მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით პირველად დადგენილი დიაგნოზით[1], 2024

(ათასი)

| | ქალი | კაცი |
|---|---|---|
| ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები | 37.6 | 37.4 |
| კიბო | 6.9 | 6.1 |
| სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები | 9.1 | 2.9 |
| ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები | 60.4 | 22.3 |
| ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები | 11.8 | 10.0 |
| ნერვული სისტემის დაავადებები | 23.3 | 14.6 |
| თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები | 70.2 | 47.9 |
| ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები | 30.4 | 26.4 |
| სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები | 48.7 | 34.9 |
| სასუნთქი სისტემის დაავადებები | 177.3 | 159.3 |
| საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები | 39.2 | 31.4 |
| კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები | 40.8 | 32.5 |
| ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები | 65.9 | 41.5 |
| შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები | 82.8 | 26.5 |

[1] ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში დაავადებების ახალი შემთხვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა; არ მოიცავს სოფლის ექიმების ინფორმაციას.

| | | |
|---|---|---|
| ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა | 20.8 | - |
| პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები | 0.8 | 1.0 |
| თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები | 2.3 | 2.9 |
| დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები | 7.3 | 10.5 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## ქალების პროცენტული წილი, რომლებმაც მიიღეს 4 და მეტი ანტენატალური ვიზიტი

(%)

| | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 85 | 85 | 87 | 86 | 84 | 84 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

## 18 წლამდე ქალების წილი, რომლებმაც მიიღეს პაპილომავირუსის (HPV) ვაქცინის ბოლო დოზა

(%)

| 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | 24 | 24 | 26 | 26 | 13 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დკსჯეც.

ქალი და კაცი საქართველოში

# განათლება და სპორტი



განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ქალთა გაძლიერებაში.

საქართველოში, შესაბამისი ასაკის ბიჭებისა და გოგოების წილი დაწყებით სკოლაში - დაწყებით კლასებში წმინდა ჩარიცხვა - კვლავ რჩება საკმაოდ მაღალ დონეზე.

ბიჭები, უფრო მეტად, სწავლის შეწყვეტას იწყებენ სავალდებულო საბაზისო განათლების მიღების შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულ განათლებას იღებს ბიჭებისა და გოგოების პრაქტიკულად თანაბარი რაოდენობა, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ბიჭები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი შრომის ბაზარზე აქტიური ჩართვისთვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაახლოებით 17.1 ათასი ბიჭი და გოგო სწავლობს. გოგოები, როგორც წესი, დომინირებენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური კეთილდღეობის, ბიზნესის, ადმინისტრირების და სამართლის, მომსახურების პროგრამებზე, ხოლო ბიჭები წარმოადგენენ სტუდენტების უმრავლესობას ინჟინერიის, წარმოების, მშენებლობის, მომსახურების და საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე.

ქალებს უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ უფრო მეტად სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ხელოვნებაში, მეცნიერების პროგრამებში. კაცები დომინირებენ საინჟინრო, დამამუშავებელ და სამშენებლო პროგრამებზე. ანალოგიური გენდერული განაწილება შეიმჩნევა დოქტორანტებშიც.

ზოგადი განათლების მასწავლებლები წარმოადგენენ განათლების სექტორში დასაქმებულთა უმსხვილეს კატეგორიას. ქალი სკოლის მასწავლებლების რიცხოვნობამ 2024 წელს დაახლოებით 58 000 შეადგინა, რაც 7-ჯერ აღემატება მამრობითი სქესის მასწავლებელთა რიცხოვნობას. ქალები აღემატება კაცებს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, თუმცა აქ გენდერული განსხვავებები ნაკლებად არის გამოხატული.

## 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის და ასაკის მიხედვით, 2024

განაწილება (%)

| | დაწყებითი/ საბაზო | საშუალო ზოგადი | საშუალო პროფესიული | უმაღლესი | განათლების გარეშე |
|---|---|---|---|---|---|
| **15-19** | | | | | |
| ქალი | 70.0 | 29.6 | 0.3 | 0.0 | 0.1 |
| კაცი | 71.8 | 27.5 | 0.4 | 0.0 | 0.3 |
| **20-29** | | | | | |
| ქალი | 5.3 | 52.4 | 7.9 | 33.8 | 0.6 |
| კაცი | 5.4 | 63.8 | 5.7 | 24.5 | 0.5 |
| **30-39** | | | | | |
| ქალი | 6.3 | 34.0 | 16.4 | 43.0 | 0.3 |
| კაცი | 6.0 | 51.0 | 8.8 | 33.7 | 0.4 |
| **40-49** | | | | | |
| ქალი | 6.0 | 35.3 | 18.3 | 40.0 | 0.4 |
| კაცი | 7.3 | 47.6 | 8.6 | 36.0 | 0.5 |
| **50-59** | | | | | |
| ქალი | 3.1 | 34.2 | 26.0 | 36.4 | 0.3 |
| კაცი | 2.9 | 46.8 | 18.0 | 32.1 | 0.2 |
| **60+** | | | | | |
| ქალი | 8.1 | 37.9 | 26.3 | 27.1 | 0.6 |
| კაცი | 5.9 | 40.9 | 23.7 | 29.2 | 0.2 |

## მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხოვნობა 2024/2025 სასწ. წ. დასაწყისისათვის (SDG 4.3.1)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| მოსწავლეთა რიცხოვნობა: | | | | | |
| სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 89 | 89 | 48 | 52 |
| კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 11 | 11 | 47 | 53 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **48** | **52** |
| | რიცხოვნობა | 310 | 331 | | |
| სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში[1)] | | 52 | 74 | 39 | 61 |
| კერძო პროფესიულ კოლეჯებში[1)] | | 48 | 26 | 63 | 37 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **48** | **52** |
| | რიცხოვნობა | 5 | 5 | | |
| სტუდენტთა რიცხოვნობა: | | | | | |
| სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 58 | 57 | 53 | 47 |
| კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 42 | 43 | 53 | 47 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **51** | **49** |
| | რიცხოვნობა | 99 | 89 | | |

**წყარო:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქსტატი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევა.

[1)] კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა.

## პედაგოგების/პროფესორ-მასწავლებლების რიცხოვნობა 2024/2025 სასწ. წ. დასაწყისისათვის

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 88 | 87 | 88 | 12 |
| კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 12 | 13 | 87 | 13 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | | |
| | რიცხოვნობა | 57 766 | 8 244 | | |
| სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში | | 49 | 64 | 65 | 35 |
| კერძო პროფესიულ კოლეჯებში | | 51 | 36 | 77 | 23 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | | |
| სულ | ერთეული | 4 145 | 1 719 | | |
| სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 43 | 45 | 58 | 42 |
| კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში | | 57 | 55 | 60 | 40 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | | |
| სულ | ერთეული | 6 795 | 4 660 | | |

**წყარო:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქსტატი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევა.

## დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის დასრულების მაჩვენებლები, 2024 წ. (SDG 4.1.1)

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | გოგო | ბიჭი | გოგო | ბიჭი |
| მიიღო: | | | | |
| დაწყებითი განათლება | 27 | 29 | 48 | 52 |
| საბაზო განათლება | 22 | 24 | 48 | 52 |
| საშუალო განათლება | 20 | 22 | 48 | 52 |

**წყარო:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

## მოსწავლეთა რიცხოვნობა საჯარო და კერძო სკოლებში, რომელთაც შეუჩერდათ სტატუსი ან შეუწყდათ სტატუსი კლასების მიხედვით, 2023/2024 სასწავლო წელს (SDG 4.1.3)

(ერთეული)

| | სტატუსშეჩერებული | | | სტატუსშეწყვეტილი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გოგო | ბიჭი | სულ | გოგო | ბიჭი | სულ |
| 1 | 215 | 247 | 462 | - | - | - |
| 2 | 323 | 366 | 689 | 2 | 1 | 3 |
| 3 | 313 | 338 | 651 | 2 | 0 | 2 |
| 4 | 296 | 333 | 629 | 1 | 1 | 2 |
| 5 | 317 | 349 | 666 | 3 | 2 | 5 |
| 6 | 284 | 312 | 596 | 1 | 2 | 3 |
| 7 | 283 | 341 | 624 | 6 | 4 | 10 |
| 8 | 312 | 357 | 669 | - | 4 | 4 |
| 9 | 302 | 358 | 660 | 4 | 3 | 7 |
| 10 | 436 | 760 | 1 196 | 777 | 1 695 | 2 472 |
| 11 | 310 | 424 | 734 | 217 | 302 | 519 |
| 12 | 194 | 271 | 465 | 104 | 92 | 196 |
| **სულ** | **3 585** | **4 456** | **8 041** | **1 117** | **2 106** | **3 223** |

**წყარო:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

## კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და ასაკის მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| **პროგრამების მიხედვით** | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი | | 20 | 8 | 71 | 29 |
| ინჟინერია, წარმოება, მშენებლობა | | 7 | 40 | 14 | 86 |
| ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები | | 6 | 16 | 24 | 76 |
| ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები | | 4 | 3 | 59 | 41 |
| ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა | | 31 | 1 | 95 | 5 |
| მომსახურებები | | 16 | 24 | 38 | 62 |
| სხვა | | 16 | 8 | 64 | 36 |
| **ასაკის მიხედვით, წელი** | | | | | |
| 15-17 | | 2 | 7 | 23 | 77 |
| 18-20 | | 16 | 28 | 34 | 66 |
| 21-23 | | 15 | 16 | 46 | 54 |
| 24-26 | | 9 | 8 | 50 | 50 |
| 27-29 | | 9 | 8 | 51 | 49 |
| 30-32 | | 9 | 6 | 56 | 44 |
| 33-36 | | 12 | 8 | 58 | 42 |
| >36 | | 28 | 19 | 58 | 42 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | | |
| | რიცხოვნობა | 4 551 | 4 986 | | |

**წყარო:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

## სტუდენტთა განაწილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით, 2024/2025 სასწ. წ. დასაწყისისათვის

(%)




## კურსდამთავრებულების განაწილება პროგრამების მიხედვით, 2024 წელს

(%)



## პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2024/2025 სასწ. წ. დასაწყისისათვის

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ძირითადი პერსონალი: | | | | | |
| პროფესორი | | 17 | 32 | 44 | 56 |
| ასოცირებული პროფესორი | | 38 | 36 | 61 | 39 |
| ასისტენტ - პროფესორი | | 16 | 12 | 66 | 34 |
| მასწავლებელი | | 17 | 12 | 67 | 33 |
| სხვა | | 12 | 8 | 67 | 33 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **59** | **41** |
| | რიცხოვნობა | 6 795 | 4 660 | | |
| ხელშეკრულებით დასაქმებულები: | | | | | |
| პროფესორი | | 2 | 4 | 47 | 53 |
| ასოცირებული პროფესორი | | 5 | 6 | 61 | 39 |
| ასისტენტ - პროფესორი | | 2 | 2 | 61 | 39 |
| მასწავლებელი | | 38 | 37 | 64 | 36 |
| სხვა | | 53 | 50 | 64 | 36 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **63** | **37** |
| | რიცხოვნობა | 8 290 | 4 794 | | |

## დოქტორანტების მიღება პროგრამების მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| განათლება | | 3 | 0 | 92 | 8 |
| ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება | | 19 | 11 | 66 | 34 |
| სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი | | 41 | 44 | 53 | 47 |
| მეცნიერება | | 13 | 20 | 44 | 56 |
| საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები | | 4 | 11 | 28 | 72 |
| სოფლის მეურნეობა | | 1 | 3 | 18 | 82 |
| ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | 20 | 8 | 76 | 24 |
| მომსახურება | | 1 | 3 | 29 | 71 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **55** | **45** |
| | რიცხოვნობა | 383 | 317 | | |

## დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა პროგრამების მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| განათლება | | 5 | 1 | 94 | 6 |
| ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება | | 16 | 9 | 76 | 24 |
| სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი | | 45 | 52 | 60 | 40 |
| მეცნიერება | | 8 | 11 | 56 | 44 |
| საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები | | 7 | 10 | 54 | 46 |
| სოფლის მეურნეობა | | 3 | 1 | 82 | 18 |
| ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | 13 | 12 | 65 | 35 |
| მომსახურება | | 1 | 4 | 22 | 78 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **63** | **37** |
| | რიცხოვნობა | 275 | 163 | | |

## დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების რიცხოვნობა

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|
| ქალი | | 46 | 44 | 48 |
| კაცი | | 54 | 56 | 52 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **100** |
| | რიცხოვნობა | 2 088 | 1 980 | 1 922 |

## მკვლევარების რიცხოვნობა, 2024 (SDG 9.5.2)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **განათლების დონის მიხედვით:** | | | | |
| დოქტორი/გათანაბრებული | 68 | 70 | 54 | 46 |
| მაგისტრი/გათანაბრებული | 30 | 28 | 57 | 43 |
| ბაკალავრი/გათანაბრებული | 3 | 2 | 61 | 39 |
| მოკლევადიანი/პროფესიული | 0 | 0 | 67 | 33 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | | |
| **ასაკის მიხედვით:** | | | | |
| <25 | 7 | 8 | 51 | 49 |
| 25-34 | 15 | 15 | 55 | 45 |
| 35-44 | 19 | 16 | 60 | 40 |
| 45-54 | 23 | 18 | 60 | 40 |
| 55-64 | 21 | 18 | 58 | 42 |
| 65+ | 16 | 26 | 44 | 56 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | | |

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **სამეცნიერო სფეროების მიხედვით:** | | | | |
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | 18 | 23 | 49 | 51 |
| ინჟინერია და ტექნოლოგია | 11 | 23 | 37 | 63 |
| სამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები | 18 | 13 | 64 | 36 |
| სოფლის მეურნეობა/ვეტერინარია | 3 | 4 | 54 | 46 |
| სოციალური მეცნიერებები | 25 | 24 | 56 | 44 |
| ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება | 24 | 14 | 68 | 32 |
| არაიდენტიფიცირებული | 0 | 0 | 0 | 0 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | | |
| რიცხოვნობა | 7 732 | 6 314 | | |

**წყარო:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

## სპორტულ სახეობებში აღებული მედლების რაოდენობა სპორტსმენების ასაკის და სქესის მიხედვით, 2024

(ერთეული)

| | არაოლიმპიური სახეობები | | | ოლიმპიური სახეობები | | | პარალიმპიური სახეობები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საპრიზო ადგილები | | | | | | | | |
| | I | II | III | I | II | III | I | II | III |
| **ქალების მიერ აღებული მედლების რაოდენობა** | **59** | **41** | **24** | **55** | **58** | **60** | **15** | **21** | **22** |
| მსოფლიო ჩემპიონატი | 7 | 4 | 2 | 3 | 1 | 2 | 3 | 5 | 8 |
| ევროპის ჩემპიონატი | 10 | 9 | 9 | 12 | 14 | 10 | 10 | 10 | 8 |
| საერთაშორისო ტურნირი | 42 | 28 | 13 | 40 | 43 | 47 | 2 | 6 | 3 |
| ჭადრაკის ოლიმპიადა | - | - | - | - | - | 1 | - | - | - |
| ოლიმპიური თამაშები | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| პარალიმპიადა | - | - | - | - | - | - | - | - | 3 |
| **კაცების მიერ აღებული მედლების რაოდენობა** | **133** | **106** | **110** | **219** | **215** | **275** | **93** | **76** | **54** |
| მსოფლიო ჩემპიონატი | 17 | 20 | 34 | 20 | 16 | 33 | 39 | 31 | 24 |
| ევროპის ჩემპიონატი | 58 | 47 | 35 | 43 | 37 | 56 | 45 | 38 | 17 |
| საერთაშორისო ტურნირი | 58 | 39 | 41 | 153 | 159 | 185 | 8 | 3 | 12 |

| | არაოლიმპიური სახეობები | | | ოლიმპიური სახეობები | | | პარალიმპიური სახეობები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საპრიზო ადგილები | | | | | | | | |
| | I | II | III | I | II | III | I | II | III |
| ჭადრაკის ოლიმპიადა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ოლიმპიური თამაშები | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| პარალიმპიადა | - | - | - | 3 | 3 | 1 | 1 | 4 | 1 |

**წყარო:** საქართველოს სპორტის სამინისტრო.

ქალი და კაცი
საქართველოში

# სოციალური უზრუნველყოფა



საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ტიპები შეიძლება დაიყოს ორ ფართო ჯგუფად: სტატუსზე დაფუძნებული და საარსებო საშუალების შემოწმების მიხედვით. პირველი ძირითადად მოიცავს ასაკით პენსიას და სოციალურ პაკეტებს, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილები) დახმარებას, ხოლო საარსებო საშუალებებით შემოწმებული, სოციალური დაცვის მთავარი მიმწოდებელია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა.

მასშტაბის თვალსაზრისით, პენსია წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის უმსხვილეს კატეგორიას, რომელიც მოიცავს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 23 პროცენტს. პენსია ქალებს შეუძლიათ მიიღონ 60 წლის ასაკიდან, ხოლო კაცებს 65 წლიდან. ეს ფაქტი გენდერული თვალსაზრისით, სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაში ქალების სასარგებლოდ თითქმის 8-წლიან განსხვავებას იწვევს, პენსიონერი ქალების რიცხოვნობის სიჭარბეს პენსიონერ კაცებზე თითქმის 2.5-ჯერ. მეორე მხრივ, სოციალური პაკეტების მიმღები კაცების რიცხვი თითქმის ორჯერ აღემატება ბენეფიციარი ქალების რიცხოვნობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებთა და ომის ვეტერანთა შორის უფრო მეტი კაცის არსებობის გამო.

ქალები ასევე წარმოადგენენ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ბენეფიციართა უმრავლესობას. ასაკის პენსიის შემთხვევაში, ეს ფაქტი აიხსნება დემოგრაფიული ფაქტორებით, რადგან დაუცველ მოხუც მოსახლეობაში უფრო მეტი ქალია.

## პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა, 2024 (SDG 1.3.1)

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| პენსიის (ასაკით პენსია) მიმღები | 612 | 252 | 71 | 29 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, 2024 (SDG 1.3.1)

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

| ასაკი | რიცხოვნობა | | პროცენტული განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სოციალური პაკეტის მიმღები: | | | | |
| 0-17 წლის | 16 | 22 | 27 | 18 |
| 18-59 წლის | 40 | 74 | 67 | 59 |
| 60+ | 4 | 29 | 7 | 23 |
| **სულ რიცხოვნობა** | **61** | **125** | | |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, 2024 (SDG 1.3.1)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები | 82 | 66 | 38 | 62 |
| მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი | 17 | 9 | 48 | 52 |
| პოლიტრეპრესირებულები | 0 | 0 | 47 | 53 |
| სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები | 0 | 6 | 2 | 98 |
| ომის მონაწილეები | 1 | 19 | 2 | 98 |
| სხვა | 0 | 0 | 78 | 22 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | **33** | **67** |
| რიცხოვნობა | 60 | 125 | | |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## ახლად რეგისტრირებულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის საფუძვლით სახელმწიფო გასაცემლ(ებ)ის მიმღებ ბენეფიციართა რიცხოვნობა

(წლის განმავლობაში)

| | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|
| **სულ** | **12 271** | **15 224** | **15 833** |
| ქალი | 4 508 | 5 613 | 5 807 |
| კაცი | 7 763 | 9 611 | 10 026 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2024

(%)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხოვნობა (SDG 1.3.1)

(ათასი)




**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## მოხუცებულთა განთავსება თავშესაფრებში, 2024

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| მოხუცებულთა განთავსება თავშესაფრებში | 202 | 99 | 67 | 33 |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობა, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| რეგიონი | | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| თბილისი | | 40 | 39 | 54 | 46 |
| აჭარის ა.რ. | | 3 | 3 | 52 | 48 |
| გურია | | 0 | 0 | 54 | 46 |
| იმერეთი | | 10 | 10 | 54 | 46 |
| მცხეთა-მთიანეთი | | 4 | 4 | 51 | 49 |
| კახეთი | | 1 | 1 | 53 | 47 |
| სამცხე-ჯავახეთი | | 1 | 1 | 53 | 47 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | | 30 | 31 | 53 | 47 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | | 0 | 0 | 52 | 48 |
| ქვემო ქართლი | | 5 | 5 | 52 | 48 |
| შიდა ქართლი | | 6 | 7 | 51 | 49 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** | **53** | **47** |
| | რიცხოვნობა | 156 758 | 139 317 | | |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ქალი და კაცი
საქართველოში

# სამუშაო ძალა, ხელფასები



შრომის ბაზარში ჩართულობა, რაც პირდაპირ გულისხმობს, რომ პირი არის დასაქმებული ან აქტიურად ეძებს სამუშაოს, წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. შესაბამისი სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის სტატისტიკური მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში კაცებისთვის შეადგენდა დაახლოებით 62-67 პროცენტს, ხოლო ქალებისთვის - 40-46 პროცენტს, რაც მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე გენდერული მიმართულებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში ქალების უმუშევრობის ტრადიციულად დაბალი დონე, კაცებთან შედარებით, შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს. თუმცა, ამის ახსნა მარტივია: უმუშევრად ითვლება ის, ვინც აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის თითქმის დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა. იქიდან გამომდინარე, რომ ქალები შრომის ბაზარზე ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან, უმუშევარი ქალების წილიც, შესაბამისად, დაბალი გამოდის.

ხელფასებში განსხვავება გენდერული მიმართულებით კვლავაც მნიშვნელოვანი რჩება, რადგან ქალები იღებენ კაცების საშუალო თვიური ხელფასის ორ მესამედზე ნაკლებს. 2024 წელს ქალების ხელფასის თანაფარდობა კაცების ხელფასთან 68.0 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით მაღალია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

## 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით

(%)




## დასაქმებულთა რიცხოვნობა და დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ათასი), დასაქმების დონე (%)

| | დასაქმებულთა რიცხოვნობა | | დასაქმების დონე | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 15-24 | 35.2 | 55.5 | 19.5 | 27.3 |
| 25-34 | 102.9 | 151.9 | 51.3 | 70.0 |
| 35-44 | 141.3 | 161.6 | 59.1 | 72.7 |
| 45-54 | 147.4 | 161.4 | 61.4 | 71.9 |
| 55+ | 209.7 | 235.4 | 28.5 | 46.1 |
| **სულ** | **636.7** | **765.8** | **39.9** | **55.6** |

## დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით, 2024

(%)

| | ქალაქი | | სოფელი | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 15-29 | 34.0 | 38.8 | 20.9 | 44.2 | 29.6 | 40.9 |
| 25-54 | 61.2 | 72.0 | 51.2 | 70.9 | 57.6 | 71.6 |
| 15-64 | 52.1 | 61.3 | 44.4 | 63.1 | 49.2 | 62.1 |

## დასაქმების დონე შვილების (0-17 წლის) რაოდენობის მიხედვით

(%)

| | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის დასაქმების დონე, სულ** | **37.1** | **53.2** | **39.9** | **55.6** |
| **შვილების რაოდენობა** | | | | |
| არ ჰყავს შვილი | 33.7 | 45.5 | 35.9 | 47.9 |
| 1 შვილი | 52.3 | 75.6 | 57.4 | 78.3 |
| 2 შვილი | 45.4 | 76.2 | 50.6 | 79.3 |
| 3 შვილი და მეტი | 37.8 | 74.8 | 41.9 | 79.7 |

## დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| დაქირავებული | 498.7 | 461.6 | 78.3 | 60.3 |
| თვითდასაქმებული | 137.8 | 303.6 | 21.7 | 39.7 |

## თვითდასაქმებული ქალების განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით, 2024



## თვითდასაქმებული კაცების განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით, 2024




## დასაქმებულთა განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, 2024

(%)



## დასაქმების დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით, 2024

(%)




## დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით

(%)

| | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **სულ** | **100** | **100** | **100** | **100** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 14.1 | 18.5 | 13.3 | 18.3 |
| მრეწველობა | 9.4 | 14.5 | 9.9 | 15.3 |
| მომსახურება* | 76.5 | 67.0 | 76.8 | 66.3 |

* მოიცავს მშენებლობას.

## დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

| | დასაქმებულთა რიცხოვნობა | | დასაქმებულთა განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **სულ** | **636.7** | **765.8** | **100.0** | **100.0** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 84.8 | 140.3 | 13.3 | 18.3 |
| მრეწველობა | 62.8 | 117.5 | 9.9 | 15.3 |
| მშენებლობა | 5.1 | 119.2 | 0.8 | 15.6 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 107.3 | 118.3 | 16.8 | 15.4 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 9.7 | 75.7 | 1.5 | 9.9 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 39.3 | 22.2 | 6.2 | 2.9 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 6.7 | 9.2 | 1.1 | 1.2 |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 21.6 | 14.2 | 3.4 | 1.9 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 1.2 | 2.6 | 0.2 | 0.3 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 12.8 | 14.0 | 2.0 | 1.8 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 9.1 | 15.5 | 1.4 | 2.0 |
| სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება | 28.0 | 59.4 | 4.4 | 7.8 |
| განათლება | 141.8 | 22.9 | 22.3 | 3.0 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 51.4 | 9.2 | 8.1 | 1.2 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 17.6 | 14.8 | 2.8 | 1.9 |
| სხვა საქმიანობები | 37.7 | 10.6 | 5.9 | 1.4 |

## დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ფაქტობრივად ნამუშევარი საათების მიხედვით, 2024

(საათი)

| | ქალი | კაცი |
|---|---|---|
| **სულ** | **37.3** | **42.1** |
| სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა | 25.5 | 30.3 |
| მრეწველობა | 40.1 | 43.2 |
| მშენებლობა | 40.4 | 44.9 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 45.2 | 46.7 |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 41.2 | 46.8 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 43.9 | 46.6 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 38.0 | 41.0 |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 41.0 | 41.7 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 36.9 | 43.1 |
| პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 37.2 | 40.5 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 33.1 | 45.6 |
| სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა | 40.1 | 47.1 |
| განათლება | 29.1 | 34.9 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 40.6 | 43.3 |
| ხელოვნება გართობა და დასვენება | 38.4 | 39.6 |
| სხვა საქმიანობები | 44.6 | 38.5 |

## დასაქმებულთა განაწილება სამუშაოზე დაკავებული პოზიციების მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ათასი)

| ISCO-08 | ქალი | კაცი |
|---|---|---|
| **სულ** | **636.7** | **765.8** |
| მენეჯერები | 36.1 | 54.9 |
| სპეციალისტი-პროფესიონალები | 171.2 | 67.0 |
| ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | 67.2 | 66.5 |
| ოფისის დამხმარე პერსონალი | 38.4 | 25.6 |
| მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები | 140.3 | 107.0 |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები | 74.5 | 119.0 |
| ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები | 21.6 | 131.4 |
| დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები | 8.9 | 100.7 |
| არაკვალიფიციური მუშაკები | 78.2 | 83.4 |
| სხვა | 0.2 | 10.2 |

## ქალების წილი ხელმძღვანელ თანამდებობებზე (SDG 5.5.2)

(%)

| 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|
| 36.1 | 36.0 | 38.8 | 38.8 | 39.7 |

## არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში

(%)

| | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|
| ქალი | 22.5 | 22.5 | 21.7 | 23.3 |
| კაცი | 34.2 | 33.4 | 32.6 | 34.2 |

## 20-34 წლის ახალკურსდამთავრებულთა დასაქმების დონე

(%)

| | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|
| ქალი | 48.2 | 44.7 | 50.5 | 58.4 |
| კაცი | 50.1 | 52.4 | 58.9 | 60.9 |

## უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ათასი), უმუშევრობის დონე (%)

| | რიცხოვნობა | | უმუშევრობის დონე | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 15-24 | 13.3 | 23.7 | 27.4 | 29.9 |
| 25-34 | 17.4 | 39.9 | 14.5 | 20.8 |
| 35-44 | 17.0 | 32.4 | 10.7 | 16.7 |
| 45-54 | 18.8 | 25.1 | 11.3 | 13.5 |
| 55+ | 13.4 | 26.1 | 6.0 | 10.0 |
| **სულ** | **79.8** | **147.2** | **11.1** | **16.1** |

## უმუშევართა განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, 2024

(%)




## უმუშევართა პროცენტული წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, 2024

(%)




## ხანგრძლივი უმუშევრობა

(%)

| | 2022 | | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ხანგრძლივი უმუშევრობის დონე | 6.0 | 7.2 | 5.4 | 7.3 | 4.1 | 5.8 |
| ხანგრძივი დროით უმუშევართა წილი უმუშევრებში | 40.9 | 37.2 | 38.9 | 39.7 | 36.5 | 35.7 |

## ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEET)

(%)

| | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|
| **15-24 წლის** | | | | |
| ქალი | 26.8 | 23.7 | 21.6 | 17.5 |
| კაცი | 26.8 | 23.1 | 20.4 | 17.5 |
| **15-29 წლის** | | | | |
| ქალი | 37.3 | 34.5 | 30.9 | 27.1 |
| კაცი | 32.1 | 27.2 | 23.2 | 21.4 |

## სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის განაწილება არააქტიურობის ძირითადი მიზეზების მიხედვით

(%)

| | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ** | **100** | **100** | **100** | **100** |
| პენსიონერი | 43.8 | 35.0 | 44.9 | 34.9 |
| სტუდენტი/მოსწავლე | 11.9 | 21.4 | 12.4 | 22.8 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე | 1.5 | 3.7 | 1.4 | 3.8 |
| საოჯახო საქმეებით დაკავებული | 29.7 | 5.4 | 28.9 | 6.3 |
| დავკარგე სამუშაოს პოვნის იმედი | 5.1 | 14.3 | 4.6 | 12.7 |
| სხვა | 8.1 | 20.2 | 7.8 | 19.5 |

# დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი და შეუსწორებელი გენდერული სახელფასო სხვაობა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024

ხელფასი (ლარი), გენდერული სახელფასო სხვაობა (%)

| | ქალი | კაცი | გენდერული სახელფასო სხვაობა |
|---|---|---|---|
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 1 027.3 | 1 391.0 | 26.1 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 1 739.8 | 2 386.6 | 27.1 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 1 341.6 | 2 222.5 | 39.6 |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 2 338.0 | 2 296.8 | -1.8 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 1 180.6 | 1 370.0 | 13.8 |
| მშენებლობა | 2 039.0 | 2 761.5 | 26.2 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 1 367.7 | 2 084.8 | 34.4 |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 1 706.0 | 2 046.3 | 16.6 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 1 335.7 | 1 714.2 | 22.1 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 3 178.2 | 4 521.0 | 29.7 |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 2 763.0 | 5 504.2 | 49.8 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 1 557.9 | 2 004.1 | 22.3 |

| | ქალი | კაცი | გენდერული სახელფასო სხვაობა |
|---|---|---|---|
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 2 323.8 | 3 336.3 | 30.3 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 1 454.6 | 1 633.5 | 11.0 |
| სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება | 2 193.1 | 2 496.4 | 12.1 |
| განათლება | 1 218.2 | 1 287.5 | 5.4 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 1 496.4 | 2 082.1 | 28.1 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 1 499.3 | 2 127.4 | 29.5 |
| სხვა სახის მომსახურება | 1 120.3 | 1 687.7 | 33.6 |
| **სულ** | **1 591.6** | **2 340.7** | **32.0** |

## ქალის საშუალო თვიური ხელფასის თანაფარდობა კაცის საშუალო თვიურ ხელფასთან

(%)



## გენდერული სახელფასო სხვაობა

(%)




**წყარო: შეუსწორებელი გენდერული ყოველთვიური სახელფასო სხვაობა** - საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევა; **შესწორებელი გენდერული ყოველთვიური/საათობრივი სახელასო სხვაობა** - სამუშაო ძალის გამოკვლევა.

ქალი და კაცი
საქართველოში

# ცხოვრების დონე



ინფორმაცია მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ, ტრადიციულად, მიიღება შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევიდან. იქიდან გამომდინარე, რომ შინამეურნეობა გამოიკითხება, როგორც ერთი სუბიექტი, გარკვეული სირთულეები იქმნება გენდერულ ჭრილში მონაცემთა ანალიზისას. ამის გამო, მონაცემთა ანალიზი, როგორც წესი, წარმოებს შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით.

საქართველოში შინამეურნეობის უფროსად, ტრადიციულად, კაცი მოიაზრება. შესაბამისად, შინამეურნეობების წილი მამრობითი სქესის უფროსით, 60%-ს აღემატება. თუმცა, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იქნებოდა, თუ ანალიზიდან გამოვრიცხავდით ერთსულიან და იმ შინამეურნეობებს, სადაც ცხოვრობს მხოლოდ ერთი მშობელი.

ძირითადი საცხოვრისის საკუთრების ფორმის, შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, სიღარიბის მაჩვენებლების არსებული მონაცემებით, გენდერული განსხვავებები შინამეურნეობებში კაცი და ქალი უფროსებით, გამოვლენილი არ არის. თუმცა, ეს განსხვავებები გამოვლინდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეული კატეგორიის ანალიზის დროს. სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლები უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებისათვის, სადაც უფროსია კაცი, ხოლო ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლებისა და უცხოეთიდან მიღებული გზავნილების უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსი ქალია. ხარჯების შემთხვევაში, ქონების შეძენასა და სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯები უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსია კაცი, ხოლო საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე, სხვა სათბობსა და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯების უფრო მაღალი მნიშვნელობა ფიქსირდება იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსი ქალია.

## შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით

(%)




## შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით ქალაქად და სოფლად, 2024

(%)



## შინამეურნეობების ტიპები შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით, 2024

(%)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| შინამეურნეობების ტიპები: | | | | |
| ერთწევრიანი შინამეურნეობა - ქვრივი | 20 | 2 | 84 | 16 |
| ერთწევრიანი შინამეურნეობა - სხვა | 12 | 7 | 52 | 48 |
| მშობლები 18 წლამდე შვილ(ებ)ით | 1 | 12 | 6 | 94 |
| მეუღლეები (რეგისტრირებული/ არარეგისტრირებული ქორწინება) | 2 | 19 | 6 | 94 |
| მრავალთაობიანი შინამეურნეობა (ცხოვრობს მინიმუმ 3 თაობა) | 24 | 24 | 38 | 62 |
| სხვა | 40 | 35 | 41 | 59 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | **38** | **62** |

## შინამეურნეობების განაწილება ძირითადი საცხოვრისის საკუთრების ფორმის და შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით, 2024

(%)

| | ქალი | კაცი |
|---|---|---|
| ქვეყანა | | |
| ეკუთვნის შინამეურნეობას | 92.2 | 94.0 |
| დაქირავებულია | 5.0 | 3.8 |
| დაგირავებულია | 0.3 | 0.3 |
| უფასო სარგებლობაშია | 2.5 | 1.9 |
| სხვა/არაიდენტიფიცირებული | 0.0 | 0.0 |
| ქალაქად | | |
| ეკუთვნის შინამეურნეობას | 89.3 | 90.7 |
| დაქირავებულია | 7.1 | 6.3 |
| დაგირავებულია | 0.5 | 0.4 |
| უფასო სარგებლობაშია | 3.0 | 2.5 |
| სხვა/არაიდენტიფიცირებული | 0.1 | 0.0 |
| სოფლად | | |
| ეკუთვნის შინამეურნეობას | 98.5 | 98.8 |
| დაქირავებულია | 0.2 | 0.2 |
| დაგირავებულია | 0.0 | 0.0 |
| უფასო სარგებლობაშია | 1.3 | 1.0 |
| სხვა/არაიდენტიფიცირებული | 0.0 | 0.0 |

## შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლების თანაფარდობა შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით[1)]

(%)

| | 2014 | 2024 |
|---|---|---|
| **1. შემოსავლები, სულ (2+3)** | 95 | 103 |
| **2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები** | 96 | 104 |
| დაქირავებული შრომიდან | 84 | 95 |
| თვითდასაქმებიდან | 64 | 74 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან | 61 | 46 |
| ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან) | 139 | 301 |
| პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები | 146 | 131 |
| უცხოეთიდან მიღებული გზავნილები | 142 | 188 |
| საჩუქრად მიღებული ფული | 110 | 166 |
| **3. არაფულადი შემოსავლები** | 82 | 75 |
| **4. სხვა ფულადი სახსრები** | 68 | 69 |
| ქონების გაყიდვა | 48 | 37 |
| ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება | 70 | 71 |
| **5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)** | 92 | 102 |
| **6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)** | 91 | 101 |

[1)] მრიცხველში მოცემულია შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე, სადაც შინამეურნეობის უფროსი ქალია, ხოლო მნიშვნელში - კაცი.

## შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯების თანაფარდობა შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით[1)]

(%)

| | 2014 | 2024 |
|---|---|---|
| **1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2+3)** | 96 | 103 |
| **2. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები** | 97 | 105 |
| სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე | 97 | 105 |
| ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე | 95 | 105 |
| საოჯახო მოხმარების საქონელზე | 99 | 104 |
| ჯანმრთელობის დაცვაზე | 100 | 111 |
| საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე | 115 | 120 |
| ტრანსპორტზე | 75 | 67 |
| განათლებაზე | 93 | 103 |
| სხვა სამომხმარებლო ხარჯები | 101 | 124 |
| **3. არაფულადი ხარჯები** | 82 | 75 |
| **4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები** | 67 | 87 |
| სასოფლო–სამეურნეო ხარჯები | 70 | 50 |
| ტრანსფერტებზე | 71 | 86 |
| დაზოგვაზე ან გასესხებაზე | 65 | 96 |

| | 2014 | 2024 |
|---|---|---|
| ქონების შეძენაზე | 72 | 52 |
| **5. ფულადი ხარჯები, სულ (2+4)** | 89 | 100 |
| **6. ხარჯები, სულ (3+5)** | 88 | 99 |

[1)] მრიცხველში მოცემულია შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე, სადაც შინამეურნეობის უფროსი ქალია, ხოლო მნიშვნელში - კაცი.

## ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები სქესის მიხედვით

(%)

### მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი




### მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი



## სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი სქესის მიხედვით (SDG 1.2.1)

(%)




**შენიშვნა:** 2015 - სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელი.

ქალი და კაცი
საქართველოში

# საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები



ყოველდღიურად იზრდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო წლებში, გლობალური მასშტაბით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ზრდის შედეგად. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შეღწევა განათლებაში, ელექტრონულ ვაჭრობაში, ბიზნესსა და სოციალურ კომუნიკაციაში, მას აქცევს შეუცვლელ საშუალებად, ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ერთ-ერთია იმ რამდენიმე სფეროს შორის, სადაც მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში ძალიან მსგავსია. ქალები და კაცები ერთნაირად ფლობენ კომპიუტერს და მობილურ ტელეფონებს, მათი ინტერნეტთან წვდომაც თანაბარია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

მოსახლეობის მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ დეტალური მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში და შეიძლება აღინიშნოს, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში გენდერული განსხვავების აშკარა არარსებობა, პერსპექტივაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

## 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება, კომპიუტერის გამოყენების სიხშირის მიხედვით[1)], 2025 წლის ივნისი

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე | 70 | 73 | 52 | 48 |
| კვირაში ერთხელ მაინც | 21 | 19 | 55 | 45 |
| უფრო იშვიათად ვიდრე კვირაში ერთხელ | 9 | 8 | 56 | 44 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | | |
| რიცხოვნობა | 748 | 671 | | |

## 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება, ინტერნეტის გამოყენების სიხშირის მიხედვით[2)], 2025 წლის ივნისი

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე | 96 | 95 | 53 | 47 |
| კვირაში ერთხელ მაინც | 4 | 4 | 54 | 46 |
| უფრო იშვიათად ვიდრე კვირაში ერთხელ | 0 | 1 | 26 | 74 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | | |
| რიცხოვნობა | 1 442 | 1 267 | | |

[1)] მაჩვენებელი გაანგარიშებულია იმ მოსახლეობისათვის, ვინც კომპიუტერი გამოიყენა ბოლო 3 თვის განმავლობაში.

[2)] მაჩვენებელი გაანგარიშებულია იმ მოსახლეობისათვის, ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო 3 თვის განმავლობაში.

## კომპიუტერით და ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით, 2025 წლის ივნისი

(%)




## 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში ისარგებლა ინტერნეტით[1], 2025 წლის ივნისი

(%)

| ასაკი | წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან | |
|---|---|---|
| | ქალი | კაცი |
| 6-12 | 97 | 99 |
| 13-17 | 100 | 99 |
| 18-29 | 99 | 99 |
| 30-50 | 99 | 97 |
| 51-64 | 95 | 87 |
| 65+ | 61 | 54 |
| **სულ** | **89** | **88** |

[1] იგულისხმება ბოლო 12 თვის განმავლობაში ნებისმიერ ადგილას ნებისმიერი მოწყობილობის (მობილური ტელეფონით, სმარტფონით, კომპიუტერით და სხვ.) საშუალებით ინტერნეტით დამოუკიდებლად სარგებლობა.

## 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნების მიხედვით[1], 2025 წლის ივნისი

(%)

| ინტერნეტის გამოყენების მიზნები | ქალი | კაცი |
|---|---|---|
| სოციალური ქსელების გამოყენება | 96 | 96 |
| ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა | 46 | 45 |
| ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა | 38 | 39 |
| ინტერნეტ აუდიო/ვიდეო კავშირი | 97 | 97 |
| ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება | 60 | 43 |
| საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება | 49 | 46 |
| სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა | 11 | 11 |
| ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა | 54 | 57 |
| პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა | 13 | 15 |

[1] მაჩვენებელი გაანგარიშებულია იმ მოსახლეობისათვის, ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო 3 თვის განმავლობაში.

### 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, 2025 წლის ივნისი (SDG 5.B.1)

(%)




### 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ფლობს სმარტფონს, 2025 წლის ივნისი

(%)



## 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც იყენებს მობილურ ტელეფონს, 2025 წლის ივნისი

(%)




## 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც იყენებს სმარტფონს, 2025 წლის ივნისი

(%)



## 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვისაც ინტერნეტით ჰქონდა ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან[1], 2025 წლის ივნისი

(%)

| | ქალი | კაცი |
|---|---|---|
| **ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით** | **9** | **9** |
| სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება | 8 | 8 |
| ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა | 4 | 3 |
| შევსებული ფორმების/ბლანკების წარდგენა | 4 | 2 |
| **არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით** | **91** | **91** |

[1] იგულისხმება ბოლო 12 თვეში, პირად საკითხებზე, ინტერნეტით ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან.

ქალი და კაცი
საქართველოში

# ბიზნეს სექტორი



ბიზნეს სექტორის ანალიზი გენდერულ ჭრილში მოიცავს წარმოების პროცესის ორ ძირითად ფაქტორს: შრომას (დაქირავებით დასაქმებულები) და კაპიტალს (მეწარმეები/ბიზნესის მფლობელები).

როგორც შრომის ბაზრის განხილვისას იყო წარმოდგენილი, ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულები და მათი ხელფასიც დაბალია თითქმის ყველა ეკონომიკურ სექტორში. კერძოდ, ბიზნეს სექტორში მომუშავე ქალთა და კაცთა რიცხვი, შესაბამისად, 374 ათასი და 492 ათასი იყო, ხოლო ქალების საშუალო ხელფასი კაცების საშუალო ხელფასის 68 პროცენტს შეადგენდა.

უახლესი მონაცემებით, ბიზნესის დამფუძნებელი კაცების რიცხოვნობა თითქმის ორჯერ აღემატება ამავე კატეგორიის ქალების რიცხოვნობას. თუ განვიხილავთ ეკონომიკური სექტორების მიხედვით, ბიზნესის მფლობელი ქალების შედარებით მცირე რაოდენობა გვხვდება სამთომოპოვებით მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტის და დასაწყობების სფეროში და სოფლის მეურნეობაში. მეორე მხრივ, მფლობელი ქალების რიცხოვნობა გაცილებით მეტია კაცი მფლობელების რიცხოვნობაზე საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობა და სოციალური მომსახურება და სხვა სახის მომსახურებები.

## ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა საკუთრების ფორმის და საწარმოს ზომის მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **საკუთრების ფორმები:** | | | | |
| კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი) | 79 | 75 | 44 | 56 |
| კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი) | 16 | 17 | 43 | 57 |
| სახელმწიფო | 5 | 8 | 31 | 69 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | **43** | **57** |
| **საწარმოს ზომა:** | | | | |
| მსხვილი საწარმო | 42 | 37 | 46 | 54 |
| საშუალო საწარმო | 21 | 20 | 44 | 56 |
| მცირე საწარმო | 37 | 43 | 40 | 60 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | **43** | **57** |
| დასაქმებულთა რიცხოვნობა[1)] | 374 | 492 | | |

[1)] გაანგარიშებულია დაკავებული სამუშაო ადგილების მიხედვით.

## ბიზნეს სექტორში შრომის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საკუთრების ფორმის და საწარმოს ზომის მიხედვით, 2024

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი), ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის პროცენტული წილი კაცთა ხელფასთან მიმართებაში (%)

| | საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი | | ქალების ხელფასი კაცების ხელფასთან მიმართებაში |
|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | |
| კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი) | 1 415 | 2 143 | 66 |
| კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი) | 2 472 | 3 510 | 70 |
| სახელმწიფო | 1 592 | 1 934 | 82 |
| მსხვილი საწარმო | 1 888 | 2 648 | 71 |
| საშუალო საწარმო | 1 845 | 2 914 | 63 |
| მცირე საწარმო | 1 082 | 1 709 | 63 |
| **სულ** | **1 601** | **2 366** | **68** |

## ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა განაწილება[1] ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024

(%)




[1] გაანგარიშებულია საქმიანობის კლასიფიკატორის NACE rev. 2-ის მიხედვით.

## ბიზნეს სექტორში შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი), ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის პროცენტული წილი კაცთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასთან მიმართებაში (%)

| | საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი | | ქალების ხელფასი კაცების ხელფასთან მიმართებაში |
|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 1 025 | 1 397 | 73 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 1 740 | 2 387 | 73 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 1 342 | 2 226 | 60 |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 2 338 | 2 297 | 102 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 1 499 | 1 664 | 90 |
| მშენებლობა | 2 035 | 2 765 | 74 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 1 368 | 2 085 | 66 |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 1 711 | 2 061 | 83 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 1 341 | 1 717 | 78 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 3 237 | 4 619 | 70 |

| | საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი | | ქალების ხელფასი კაცების ხელფასთან მიმართებაში |
|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 1 564 | 2 006 | 78 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 2 578 | 3 697 | 70 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 1 485 | 1 676 | 89 |
| განათლება | 1 531 | 2 117 | 72 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 1 471 | 2 064 | 71 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 2 234 | 3 138 | 71 |
| სხვა სახის მომსახურება | 650 | 1 201 | 54 |
| **სულ** | **1 601** | **2 366** | **68** |

## რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა მფლობელის სქესის მიხედვით

სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

| | | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|
| | ქალი | 27 | 29 |
| | კაცი | 61 | 65 |
| | არაიდენტიფიცირებული | 12 | 6 |
| **სულ** | **პროცენტი** | **100** | **100** |
| | რიცხოვნობა | 75 | 74 |

## საქართველოში ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და დამფუძნებელთა სქესის მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 0 | 0 | 27 | 73 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 0 | 0 | 16 | 84 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2 | 2 | 35 | 65 |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 0 | 0 | 9 | 91 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 0 | 0 | 0 | 100 |
| მშენებლობა | 1 | 5 | 6 | 94 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 9 | 6 | 41 | 59 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 2 | 5 | 13 | 87 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 2 | 1 | 44 | 56 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 3 | 5 | 23 | 77 |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 0 | 0 | 44 | 56 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 1 | 1 | 43 | 57 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 3 | 2 | 50 | 50 |

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 2 | 1 | 45 | 55 |
| სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა | 0 | 0 | 33 | 67 |
| განათლება | 1 | 0 | 65 | 35 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 0 | 0 | 68 | 32 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 1 | 0 | 46 | 54 |
| სხვა | 2 | 0 | 69 | 31 |
| საქმიანობა უცნობია | 71 | 72 | 30 | 70 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | | |
| რიცხოვნობა | 21 368 | 48 168 | | |

ქალი და კაცი
საქართველოში

# სოფლის მეურნეობა



გენდერული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მეურნეობებისა და მათ სარგებლობაში არსებული აქტივების განაწილების შესწავლა მეურნის თუ საწარმოს ხელმძღვანელის სქესის მიხედვით. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, იმ სასოფლო მეურნეობების წილი, რომელთა ხელმძღვანელი ქალია, სტაბილურად 32-33 პროცენტის ფარგლებშია, მაშინ როდესაც ასეთი სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის წილი მხოლოდ 18-21 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს უკანასკნელი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დიდი მიწების მქონე სასოფლო მეურნეობების ხელმძღვანელები, უმეტესად კაცები არიან. მასშტაბებს შორის ზემოთ აღნიშნული სხვაობა კარგად ჩანს მეურნეობების საშუალო წლიურ მოგებაშიც. კერძოდ, 2023 წელს, ისეთი მეურნეობების საშუალო წლიური მოგება, რომელთა ხელმძღვანელი კაცია, მცირე მეურნეობების შემთხვევაში 56 პროცენტით, ხოლო საშუალო და მსხვილი მეურნეობების[1] შემთხვევაში კი 44 პროცენტით აღემატება იმ მეურნეობების მოგებას, რომელთა ხელმძღვანელი ქალია.

საინტერესოა სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა განხილვა სქესობრივ ჭრილში. მაგალითად, 2024 წელს სასოფლო მეურნეობებში მომუშავე კაცების საშუალო რაოდენობა (იგულისხმება ოთხი კვარტლის აბსოლუტური მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკული) 6 პროცენტით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალებისათვის, მაშინ როდესაც წლის განმავლობაში კაცი მომუშავეების მიერ ნამუშევარი ჯამური კაცდღეების რაოდენობა მხოლოდ 4 პროცენტით ნაკლებია ქალების მიერ ნამუშევარ კაცდღეების რაოდენობაზე. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასოფლო მეურნეობებში მომუშავე ქალები, საშუალოდ კაცებზე მეტს მუშაობენ. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ქალთა ინტენსიური ჩართულობა მეცხოველეობაში, რაც გულისხმობს პირუტყვის/ფრინველის გამოკვებას და პირუტყვის მოწველას. ეს უკანასკნელი კი, როგორც წესი, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად ხორციელდება. უნდა აღინიშნოს,

[1] მეურნეობის ზომა განისაზღვრება შემდეგი სამი პარამეტრით - მიწის ფართობი, პირუტყვის სულადობა და წარმოებული პროდუქციის ღირებულება. მეურნეობა მცირეა, თუ აღნიშნული სამი პარამეტრი ხვდება კუმულატიური განაწილების ქვედა 40%-ის საზღვრებში. სხვა შემთხვევაში მეურნეობა ითვლება საშუალო ან მსხვილ მეურნეობად.

რომ მსგავსი ტენდენცია იკვეთება ოჯახურ მეურნეობებში. ხოლო რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ამ შემთხვევაში განსხვავებული ვითარებაა, რადგან, სამუშაო გრაფიკი მეტად განსაზღვრულია და შესაბამისად, ხასიათდება ნაკლები ვარიაციით. კერძოდ, 2024 წელს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებულია 43 პროცენტით მეტი კაცი, ვიდრე ქალი, მათი ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა კი ქალების მიერ ნამუშევარ კაცდღეების რაოდენობას 38 პროცენტით აღემატება.

## სასოფლო მეურნეობების წარმოების მოცულობა შრომის დანახარჯის ერთეულზე, მეურნეობის ზომის და მეურნის სქესის მიხედვით, 2023 (SDG 2.3.1)

(ლარი/კაცდღე)

| | მცირე მეურნეობები | საშუალო და მსხვილი მეურნეობები |
|---|---|---|
| ქალი | 22.3 | 75.6 |
| კაცი | 24.6 | 92.7 |

## სასოფლო მეურნეობების საშუალო წლიური მოგება მეურნეობის ზომის და მეურნის სქესის მიხედვით, 2023 (SDG 2.3.2)

(ლარი)

| | მცირე მეურნეობები | საშუალო და მსხვილი მეურნეობები |
|---|---|---|
| ქალი | 1 416 | 15 331 |
| კაცი | 2 208 | 22 099 |

## სასოფლო მეურნეობების განაწილება მეურნის ასაკის მიხედვით

(%)

| | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| **სულ** | **32.1** | **67.9** | **33.3** | **66.7** |
| <25 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.2 |
| 25-39 | 3.3 | 7.5 | 3.1 | 7.7 |
| 40-59 | 26.5 | 40.7 | 25.0 | 38.0 |
| 60+ | 70.2 | 51.7 | 71.9 | 54.1 |

## სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის განაწილება

(%)

| | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სულ მიწა (იჯარის ჩათვლით) | 20 | 80 | 20 | 80 |

## სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა, 2024

რიცხოვნობა (ათასი კაცი), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა | 603.1 | 639.0 | 48.6 | 51.4 |
| ოჯახურ მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა | 596.0 | 628.9 | 48.7 | 51.3 |
| მათ შორის: შინამეურნეობის წევრები | 470.7 | 470.7 | 50.0 | 50.0 |
| შინამეურნეობის არაწევრი პირები[1)] | 125.3 | 158.2 | 44.2 | 55.8 |

[1)] დაქირავებული, მეზობელი, ნათესავი და სხვ.

## სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა, 2024

რიცხოვნობა (ათასი კაცი), განაწილება (%)

| რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|
| ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 7.1 | 10.1 | 41.2 | 58.8 |

## სასოფლო მეურნეობებში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა, 2024

რიცხოვნობა (ათასი კაცდღე), განაწილება (%)

| | რაოდენობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სასოფლო მეურნეობებში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა | 36 787 | 35 291 | 51.0 | 49.0 |
| ოჯახურ მეურნეობებში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა | 35 295 | 33 239 | 51.5 | 48.5 |
| მათ შორის: შინამეურნეობის წევრები | 33 874 | 31 021 | 52.2 | 47.8 |
| შინამეურნეობის არაწევრი პირები[1)] | 1 420 | 2 217 | 39.0 | 61.0 |

[1)] დაქირავებული, მეზობელი, ნათესავი და სხვ.

## სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა სქესის მიხედვით

(ათასი კაცდღე)

| 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|
| ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 1 300 | 2 367 | 1 493 | 2 052 |

## სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა განაწილება მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ორიენტირის და დასაქმებულთა სქესის მიხედვით, 2024

(%)



ქალი და კაცი
საქართველოში

# სამართალდარღვევები



მსოფლიო მასშტაბით არსებული ტენდენციის მიხედვით, კაცები გაცილებით ხშირად სჩადიან დანაშაულს. ეს ტენდენცია ძალზე გამოხატულია საქართველოში. ყველა სახის დანაშაულში მკვლელობიდან დაწყებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით დამთავრებული, მამრობითი სქესის მოძალადეები შეადგენენ მთლიანი შემთხვევების 90%-ზე მეტს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულთა სტატისტიკა, სქესის მიხედვით, არსებითად შეიცვალა. 2015-2024 წლებში დაზარალებულთა უმეტესობას კაცები წარმოადგენდნენ დაახლოებით 52 პროცენტიანი წილით. ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაზარალებულ ქალთა წილი კლებადი ტენდენციით აღინიშნებოდა, თუმცა, 2024 წელს ის 50 პროცენტზე მეტია.

ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში კაცებზე მეტი ქალი დარეგისტრირდა, როგორც დაზარალებული, დიდწილად უკავშირდება ოჯახში ძალადობის საკითხებს, რომლის ძირითად მსხვერპლს წარმოადგენენ ქალები. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი იქნა შემოღებული. ამ მიმართულებით გაწეულმა ძალისხმევამ გამოიწვია აღნიშნულ საკითხებში სოციალური ცნობიერების ამაღლების მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, 2015 წელს ოჯახში ძალადობის 2 638 რეგისტრირებული მსხვერპლიდან, 2024 წელს ამ მაჩვენებელმა 7 855-ს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ რეგისტრირებული შემთხვევები, ოჯახში ძალადობის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს, რეგისტრირებული საჩივრების და გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის ზრდა, სამართალდარღვევების სფეროში შეიძლება შეფასდეს, როგორც პოზიტიური მოვლენა.

## მსჯავრდადებულთა რიცხოვნობა დანაშაულის სახეების მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| განზრახ მკვლელობა | 2 | 64 | 3 | 97 |
| განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში | 1 | 67 | 1 | 99 |
| ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება | 3 | 105 | 3 | 97 |
| გაუპატიურება | 1 | 36 | 3 | 97 |
| ძარცვა | 20 | 171 | 10 | 90 |
| ყაჩაღობა | 6 | 86 | 7 | 93 |
| ქურდობა | 146 | 2 279 | 6 | 94 |
| ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 59 | 2 755 | 2 | 98 |
| ხულიგნობა | 0 | 52 | - | 100 |
| ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა | 17 | 485 | 3 | 97 |
| სხვა | 797 | 9 809 | 8 | 92 |
| **სულ** | **1 052** | **15 909** | **6** | **94** |

**წყარო:** საქართველოს უზენაესი სასამართლო.

## მსჯავრდადებულთა განაწილება ასაკის მიხედვით, 2024

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

| | პროცენტული წილი | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| არასრულწლოვნები (14-17 წლის) | 5 | 2 | 11 | 89 |
| სრულწლოვნები (18+) | 95 | 98 | 6 | 94 |
| **სულ პროცენტი** | **100** | **100** | **6** | **94** |
| რიცხოვნობა | 1 052 | 15 909 | | |

**წყარო:** საქართველოს უზენაესი სასამართლო.

## ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რიცხოვნობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა სხვადასხვა სახის შეღავათი, 2024

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სრულწლოვანი | | | | |
| შეწყალებული | 16 | 105 | 13 | 87 |
| ამნისტირებული | 31 | 913 | 3 | 97 |
| პირობით ვადამდე გათავისუფლებული | 31 | 310 | 9 | 91 |
| **სულ** | **78** | **1 328** | **6** | **94** |

**წყარო:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

## მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რიცხოვნობის შესახებ, 2024 (SDG 16.1.3)

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| მოძალადე | | | | მსხვერპლი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
| ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 1 212 | 6 276 | 16 | 84 | 6 634 | 1 221 | 84 | 16 |

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## ოჯახში ძალადობის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსების სტატისტიკა, 2024 (SDG 16.2.2)

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ოჯახში ძალადობის მსხვერპლი | | | | |
| <17 | 35 | 3 | 92 | 8 |
| 18-23 | 20 | 2 | 91 | 9 |
| 24-43 | 70 | 2 | 97 | 3 |
| 44+ | 16 | 3 | 84 | 16 |
| **სულ** | **141** | **10** | **93** | **7** |
| ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი | | | | |
| <17 | 3 | 0 | 100 | 0 |
| 18-23 | 0 | 2 | 0 | 100 |
| 24-43 | 5 | 1 | 83 | 17 |
| 44+ | 1 | 2 | 33 | 67 |
| **სულ** | **9** | **5** | **64** | **36** |

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## შემაკავებელი ორდერების რაოდენობა (SDG 16.3.1)

რაოდენობა (ერთეული)

| | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|
| შემაკავებელ ორდერებში მონაწილე პირები: | | | | | |
| ქალი | 9 092 | 8 291 | 7 745 | 7 685 | 7 846 |
| კაცი | 8 768 | 8 037 | 7 467 | 7 509 | 7 497 |
| **გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, სულ** | **10 321** | **9 376** | **8 748** | **8 734** | **8 744** |

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## დაზარალებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები, 2024

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | სქესის მიხედვით განაწილება |
|---|---|---|
| ქალი | 8 526 | 51 |
| კაცი | 8 286 | 49 |
| არაიდენტიფიცირებული | 2 | 0 |
| **სულ** | **16 814** | **100** |

**წყარო:** საქართველოს პროკურატურა.

## პატიმართა რიცხოვნობა, 2024

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სრულწლოვნები | 388 | 8 634 | 4 | 96 |
| არასრულწლოვნები | 6 | 70 | 8 | 92 |
| **სულ** | **394** | **8 704** | **4** | **96** |

**წყარო:** საქართველოს იუსტიციის  სამინისტრო.

## ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხოვნობა[1], 2024 (SDG 3.6.1)

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| დაღუპულთა რიცხოვნობა | 76 | 216 | 26 | 74 |
| დაშავებულთა რიცხოვნობა | 2 593 | 4 070 | 39 | 61 |

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

[1] მონაცემები მოიცავს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაღუპულ და დაშავებულ მოქალაქეთა რიცხოვნობას.

## მართვის მოწმობების გაცემისა და "აქტიური" სტატუსით რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მესაკუთრის სქესის მიხედვით, 2024

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| მართვის მოწმობების გაცემა[1)] | 16 166 | 95 523 | 14 | 86 |
| რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელები[2)] | 292 670 | 1 321 643 | 18 | 82 |

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

[1)] პირველად აღებული ან შეცვლილი.

[2)] პირველად რეგისტრირებული ან გადაფორმებული.

## მართვის მოწმობების გაცემისა და "აქტიური" სტატუსით რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის სქესის მიხედვით განაწილება, 2024

(%)




**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ქალი და კაცი
საქართველოში

# ხელისუფლება



საქართველოში ხელისუფლების სამ შტოში გენდერული განსხვავებები კვლავ საკმაოდ არათანაბარია. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წრეებში - გენდერული სხვაობა შედარებით ზომიერია. აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს შორის ქალთა წილი შეადგენს 15 პროცენტს, ხოლო მინისტრებს შორის - 25 პროცენტს. რაც შეეხება ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს, საერთო სასამართლოების მოსამართლეებში ქალები შეადგენენ 55 პროცენტს.

ამასთან, ყველაზე დიდი გენდერული სხვაობა ტრადიციულად შეიმჩნევა საკანონმდებლო შტოში, როგორც ეროვნულ, ისე მუნიციპალურ დონეზე. 2024 წელს საქართველოს პარლამენტში ქალი პარლამენტარების წილმა 22 პროცენტი შეადგინა.

## დეპუტატთა განაწილება საქართველოს პარლამენტში (SDG 5.5.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, %




**წყარო:** საქართველოს პარლამენტის აპარატი.

## მაჟორიტარი დეპუტატების რიცხოვნობა საქართველოს პარლამენტში, 2024 (SDG 5.5.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|
| ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 0 | 29 | 0 | 100 |

**წყარო:** საქართველოს პარლამენტის აპარატი.

## დეპუტატთა რიცხოვნობა ფრაქციების მიხედვით საქართველოს პარლამენტში, 2024

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| ქართული ოცნება | 10 | 71 | 12 | 88 |
| საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალა“ | 1 | 7 | 12 | 88 |
| ფრაქციის გარეშე | 22 | 39 | 36 | 64 |
| **სულ** | **33** | **117** | | |

**წყარო:** საქართველოს პარლამენტის აპარატი.

## პროფესიული საჯარო მოხელეების რიცხოვნობა და პროცენტული განაწილება

| | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| რიცხოვნობა (ათასი) | | | | |
| **სულ** | **12.5** | **21.4** | **12.8** | **22.6** |
| **რანგი** | | | | |
| I რანგი | 0.6 | 1.0 | 0.6 | 0.9 |
| II რანგი | 1.2 | 1.3 | 1.3 | 1.3 |
| III რანგი | 6.7 | 4.2 | 6.8 | 4.2 |
| IV რანგი | 4.0 | 15.0 | 4.2 | 16.2 |
| **რანგი (მენეჯერი/არამენეჯერი)** | | | | |
| მენეჯერი (I და II რანგი) | 1.8 | 2.2 | 1.9 | 2.2 |
| არამენეჯერი (III და IV რანგი) | 10.7 | 19.2 | 11.0 | 20.4 |
| პროცენტული წილი (%) | | | | |
| **სულ** | **100.0** | **100.0** | **100.0** | **100.0** |
| **რანგი** | | | | |
| I რანგი | 4.8 | 4.5 | 4.7 | 4.0 |
| II რანგი | 9.5 | 6.0 | 9.8 | 5.9 |
| III რანგი | 53.7 | 19.5 | 52.9 | 18.6 |
| IV რანგი | 32.0 | 70.1 | 32.6 | 71.5 |
| **რანგი (მენეჯერი/არამენეჯერი)** | | | | |
| მენეჯერი (I და II რანგი) | 14.3 | 10.4 | 14.5 | 9.9 |
| არამენეჯერი (III და IV რანგი) | 85.7 | 89.6 | 85.5 | 90.1 |

| | 2023 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| სქესის მიხედვით განაწილება (%) | | | | |
| **სულ** | **36.8** | **63.2** | **36.2** | **63.8** |
| **რანგი** | | | | |
| I რანგი | 38.4 | 61.6 | 39.8 | 60.2 |
| II რანგი | 48.2 | 51.8 | 48.7 | 51.3 |
| III რანგი | 61.6 | 38.4 | 61.7 | 38.3 |
| IV რანგი | 21.0 | 79.0 | 20.5 | 79.5 |
| **რანგი (მენეჯერი/არამენეჯერი)** | | | | |
| მენეჯერი (I და II რანგი) | 44.4 | 55.6 | 45.4 | 54.6 |
| არამენეჯერი (III და IV რანგი) | 35.8 | 64.2 | 35.0 | 65.0 |

**წყარო:** 2023 წელი - სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო; 2024 წელი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

## საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოს პარლამენტის აპარატში და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რიცხოვნობა, 2024 (SDG 16.7.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| დასაქმებულია: | | | | |
| საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში | 147 | 142 | 51 | 49 |
| საქართველოს პარლამენტის აპარატში | 450 | 331 | 58 | 42 |
| საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში | 42 | 27 | 61 | 39 |

**წყარო:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

## საქართველოს მთავრობის შემადგენლობა, 2024 (SDG 16.7.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|---|
| | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| საქართველოს მინისტრები (სახელმწიფო მინისტრების ჩათვლით) | 3 | 9 | 25 | 75 |
| მინისტრის მოადგილეები | 14 | 36 | 28 | 72 |

**წყარო:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

## საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რიცხოვნობა, 2024 (SDG 16.7.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| რიცხოვნობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|
| ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 186 | 154 | 55 | 45 |

**წყარო:** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

## საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების, საზღვარგარეთ საქართველოს მუდმივი წარმომადგენლებისა და წარმომადგენლების რიცხოვნობა (SDG 16.7.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

| | 2020 | | 2024 | |
|---|---|---|---|---|
| | რიცხოვნობა | სქესის მიხედვით განაწილება | რიცხოვნობა | სქესის მიხედვით განაწილება |
| ელჩები: | | | | |
| ქალი | 9 | 15 | 5 | 15 |
| კაცი | 51 | 85 | 29 | 85 |
| **სულ** | **60** | **100** | **34** | **100** |

**წყარო:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

## ამომრჩეველთა აქტივობა საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს, 2024

(%)

| ამომრჩეველთა აქტივობა | | სქესის მიხედვით განაწილება | |
|---|---|---|---|
| ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 51 | 49 | 56 | 63 |

**წყარო:** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

# ცნებები და განმარტებები

**აბორტი** – მაჩვენებელი გვიჩვენებს ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას, რომელიც ხორციელდება: ა) ნებაყოფლობით (ქალის მოთხოვნის საფუძველზე) ორსულობის 12 კვირამდე (ჩათვლით); ბ) სამედიცინო და სოციალური ჩვენებების შესაბამისად ორსულობის 12-დან 22 კვირამდე.

**ავადობის დონე** – განისაზღვრება პირველად დადგენილი დიაგნოზით ავადმყოფთა რაოდენობის შეფარდებით მუდმივი მოსახლეობის საშუალო წლიურ რაოდენობასთან.

**არასრულწლოვანი დამნაშავეები** – პირები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული 14-დან 18 წლამდე ასაკში.

**არაფორმალური დასაქმება** – არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულები, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე არ იყვნენ ან ნაწილობრივ იყვნენ დაცული ფორმალური შეთანხმებებით (არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს ხელფასიდან; ან/და დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით; ან/და დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლით ავადმყოფობის შემთხვევაში; ან/და დამსაქმებელი არ იხდიდა საპენსიო ფონდში შენატანს) ან განსაზღვრავენ საკუთარი დასაქმების სტატუსს, როგორც ოჯახის საწარმოში/მეურნეობაში დამხმარე, ან მუშაობდნენ საწარმოებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული.

**ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEET rate)** - 15-29 წლის იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს.

**ბავშვის გაშვილება** - განისაზღვრება, როგორც მშობლის უფლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმა და ბავშვის გადაცემა აღსაზრდელად მშვილებლებისთვის; მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის. ბავშვის გაშვილების აუცილებელი პირობაა მშობლის (მშობლების) თანხმობა, რომელსაც იგი (ისინი) განაცხადებს (განაცხადებენ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის წინაშე. ობოლი ან/

და მიტოვებული ბავშვის გაშვილება დასაშვებია მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე. ბავშვის გაშვილებაზე მშობლის (მშობლების) თანხმობა არ არის საჭირო, თუ იგი (ისინი) აღიარებულია (აღიარებული არიან) ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ან/და ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება.

**განზრახ მკვლელობა** – ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის სიცოცხლის მიზანმიმართული ხელყოფა.

**განქორწინება (ქორწინების შეწყვეტა)** – იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეებს შორის არსებული ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს და დადასტურებულია შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**გარდაცვალების მიზეზები** – ავადმყოფობები, პათოლოგიური ან ფიზიოლოგიური მდგომარეობები, ტრავმები, რომლებიც იწვევენ ან ხელს უწყობენ სიკვდილის დადგომას. აგრეთვე, უბედური შემთხვევებისა და ძალდატანებითი სიკვდილის ის გარემოებანი, რომლებმაც გამოიწვიეს სიკვდილი.

**გენდერი** ეხება როლებს, ქცევებს, საქმიანობებს და თვისებებს, რომელსაც გარკვეული საზოგადოება, დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვრავს, როგორც შესაბამისს და მისაღებს ქალებისთვის და კაცებისთვის. სოციალური მახასიათებლების და შესაძლებლობების გარდა, რომელიც ასოცირდება ქალად/კაცად ყოფნასთან და ქალებსა და კაცებს შორის, ასევე გოგოებსა და ბიჭებს შორის ურთიერთობასთან, გენდერი ასევე ეხება ქალებს შორის და კაცებს შორის ურთიერთობებს. გენდერთან ასოცირებული თვისებები, შესაძლებლობები და ურთიერთობები სოციალურად კონსტრუირებულია და მათი დასწავლა სოციალიზაციის პროცესში ხდება; განპირობებულია კონტექსტით, დროით და ცვალებადია. გენდერი განსაზღვრავს, თუ რა არის მოსალოდნელი, დაშვებული და ღირებული ქალის/კაცის შემთხვევაში, მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით. საზოგადოებაში სახეზეა ქალებსა და კაცებს შორის განსხვავებები და უთანასწორობები დაკისრებული პასუხისმგებლობების/ვალდებულებების, განხორციელებული აქტივობების, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და კონტროლის, ასევე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების მიხედვით. გენდერი ფართო სოციალურ-კულტურული კონტექსტის შემადგენელი ნაწილია. გენდერი ისეთივე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სოციალურ-კულტურული კონტექსტის ანალი-

ზისთვის, როგორიც არის კლასი, რასა, სიღარიბის დონე, ეთნკური ჯგუფი, სექსუალური ორიენტაცია, ასაკი და სხვა.

**გენდერული სახელფასო სხვაობა** წარმოადგენს კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობას კაცის საშუალო ხელფასთან. გენდერული სახელფასო სხვაობა, რომელიც არ ითვალისწინებს დემოგრაფიულ და სამუშაო მახასიათებლებს, ცნობილია, როგორც **შეუსწორებელი** გენდერული სახელფასო სხვაობა. დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილმდებარეობა - რეგიონი/დასახლების ტიპი და ა.შ.) და სამუშაო მახასიათებლების (ეკონომიკური საქმიანობის სფერო, დაკავებული პოზიცია და. ა.შ.) გათვალისწინების შემთხვევაშიც კაცისა და ქალის ხელფასებს შორის არსებობს სხვაობა, რომელსაც ზომავს **შესწორებული** გენდერული სახელფასო სხვაობა. აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელს.

**დასაქმებული** - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ავადმყოფობის, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.

**დასაქმების დონე** – დასაქმებულთა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

**დაქირავებული** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით, ფულადი ან ნატურის სახით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.

**დაქორწინებულთა საშუალო ასაკი** - გარკვეულ პერიოდში დაქორწინებულთა მთელი ერთობლიობის საშუალო ასაკი. გაიანგარიშება როგორც დაქორწინებულთა ასაკების საშუალო არითმეტიკული ქორწინებისას.

**ემიგრანტი** – პირი, რომელმაც დატოვა საქართველო და ბოლო 12 თვის განმავლობაში სულ მცირე 183 დღით (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულა-

ციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა (ე.ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე).

**ექიმების რიცხოვნობა** – მოიცავს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე ყველა ექიმს დაკავებული თანამდებობების მიხედვით, რომელიც წლის ბოლოსათვის დასაქმებულია სამკურნალო და სანიტარულ ორგანიზაციებში, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, აგრეთვე სამედიცინო კადრების მოსამზადებელ დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში და სხვ.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც.

**თვითდასაქმებული** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც მოგების მიღების მიზნით ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე.

**თვითმკვლელობა** – საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა.

**იმიგრანტი** – პირი, რომელმაც გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვის განმავლობაში სულ მცირე 183 დღით (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა (ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე).

**ინტერნეტის მომხმარებელი** – პირი, რომელმაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ერთხელ მაინც დამოუკიდებლად ისარგებლა ინტერნეტით ნებისმიერი მოწყობილობის საშუალებით (მობილური ტელეფონით ან სმარტფონით, კომპიუტერით და სხვ.), ნებისმიერ ადგილას (საცხოვრისში, სამსახურში ან სხვა ადგილას).

**კერძო საკუთრების ფორმა (კერძო ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)** - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია.

**კერძო შერეული საკუთრების ფორმა (კერძო უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)** - ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობა.

**კომპიუტერის მომხმარებელი** – პირი, რომელმაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ერთხელ მაინც დამოუკიდებლად ისარგებლა ნებისმიერი ტიპის კომპიუტერით (სტაციონარული კომპიუტერი, ლეპტოპი, ნეთბუქი, პლანშეტური კომპიუტერი), ნებისმიერ ადგილას (საცხოვრისში, სამსახურში ან სხვა ადგილას).

**მდგრადი განვითარების მიზნების შეფასების მაჩვენებელი** - გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში A/RES/70/1 რეზოლუციით მიიღო 2030-ის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის. მდგრადი განვითარების მიზნების შეფასების ჩარჩო დამტკიცდა 2017 წლის ივლისში. აღნიშნული შეფასების ჩარჩო ითვალისწინებს 17 მიზანს და 232 მაჩვენებელს. პუბლიკაციაში მითითებულია მაჩვენებლები გაეროს გენერალური ანსამბლეის E/CN.3/2018/2 დოკუმენტიდან[1].

**მკვდრადშობილი** - ნაყოფი, რომლის სიკვდილიც, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობის არის ორსულობა, წინ უსწრებს მის სრულ გამოძევებას ან გამოყვანას დედის ორგანიზმიდან, არ სუნთქავს ან არ ავლენს სიცოცხლის რაიმე სხვა ნიშანს, როგორიცაა: გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა.

**მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა** - ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებთა ერთობლიობა დროის მოცემულ მომენტში. მოსახლეობის რიცხოვნობა გაიანგარიშება 1 იანვრის მდგომარეობით და მიიღება ბუნებრივი მატებისა და გარე მიგრაციის გათვალისწინებით.

**მოზარდების შობადობის კოეფიციენტი** - 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა ამავე ასაკობრივი ჯგუფის 1 000 ქალზე.

**მოსახლეობის მედიანური ასაკი** - ასაკი, რომელთან შედარებითაც ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნახევარი უფროსია, მეორე ნახევარი კი – უმცროსი.

**მოძალადე** – ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუცი-

[1] დოკუმენტი ხელმისაწვდომია აქ: https://undocs.org/E/CN.3/2018/2

ურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი პირი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც არღვევს სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე მასთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები არასრულწლოვნის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.

**მსჯავრდადებულთა რაოდენობა** მოიცავს ფიზიკურ პირებს, რომელთა მიმართ სასამართლოების მიერ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

**ოჯახური მეურნეობა** - მეურნეობა, რომელსაც უძღვება (რომლის მეურნეა) შინამეურნეობა.

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლი** – ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).

**ოჯახის წევრი** - პირი, რომელსაც აქვს უფლება-მოვალეობები ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე. ოჯახის წევრის ქონებრივი, მემკვიდრეობითი, საბინაო და სხვა უფლება-მოვალეობები რეგულირდება სახელმწიფო კანონმდებლობით.

**პატიმართა რიცხოვნობაში** იგულისხმება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხოვნობის საერთო რაოდენობა.

**პენსია (ასაკით პენსია)** არის ყოველთვიური სახელმწიფო გასაცემელი, რომელსაც ღებულობს საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქე, ასევე, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე, კანონიერ საფუძველზე, მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე საპენსიო ასაკის პირები, მათი მინიმალური საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის მიზნით.

**პროფესიული საჯარო მოხელე** – პირი, რომელიც საჯარო სამსახურში ინიშნება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე და ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც მის ძირითად პროფესიულ საქმიანობას და უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაცვას. მოხელეები საჯარო სამსახურის ძირითად ბირთვს შეადგენენ და ასრულებენ საჯარო სამსახურის ძირითად ფუნქციებს.

**რანგი** - კომპეტენციის შინაარსითა და უფლებამოსილების დონეების მიხედვით, საჯარო მოხელეები ნაწილდებიან რამდენიმე რანგში: **I რანგი** შეესაბამება მაღალი მმართველობითი დონეს და გულისხმობს საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული მიმართულების ზედამხედველობისა და კოორდინაციის განხორციელების პასუხისმგებლობას, კომპეტენციასა და უფლებამოსილებას; **II რანგი** შეესაბამება საშუალო მმართველობითი დონეს და გულისხმობს საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული მიმართულების ქვეშ არსებული ქვემიმართულების ზედამხედველობისა და კოორდინაციის განხორციელების პასუხისმგებლობას, კომპეტენციასა და უფლებამოსილებას; **III რანგი** შეესაბამება უფროსი სპეციალისტის დონეს და გულისხმობს საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული მიმართულების/ქვემიმართულების ფუნქციების შესრულების პასუხისმგებლობას, კომპეტენციასა და უფლებამოსილებას; IV რანგი შეესაბამება უმცროსი სპეციალისტის დონე და გულისხმობს საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული მიმართულების/ქვემიმართულების ფუნქციების შესასრულებლად მომზადების პასუხისმგებლობას, კომპეტენციასა და უფლებამოსილებას.

**საარსებო შემწეობა** – საარსებო შემწეობას იღებს ოჯახი, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე.

**სამეწარმეო საქმიანობა** განისაზღვრება, როგორც მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

**სამუშაო ძალა** – დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობა.

**სამუშაო ძალის გარეთ** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, არ ეძებდა სამუშაოს გასული 4 კვირის განმავლობაში და/ან არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

**სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე** – სამუშაო ძალის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

**სასოფლო მეურნეობა (მეურნეობა)** - ეკონომიკური ერთეული, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, მიუხედავად მისი ზომისა და იურიდიული სტატუსისა. მეურნეობის ტიპებია: ოჯახური მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო საწარმო.

**სასოფლო-სამეურნეო საწარმო** - მეურნეობა, რომელსაც უძღვება (რომლის მეურნეა) იურიდიული პირი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სხვა.

**საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი** - განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში დარიცხული ხელფასის (შრომის ანაზღაურების) ფონდის გაყოფით დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაზე, რომელთაც შესაბამის პერიოდში (კვარტალი, წელი) დაერიცხათ ხელფასი. არასრული განაკვეთით დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა გაანგარიშებულია სრული განაკვეთის ექვივალენტურად.

**საცხოვრისი** - არის ნაგებობა, რომელშიც ცხოვრობს შინამეურნეობა და ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც ეს ნაგებობა არის აშენებული. საცხოვრისი მთლიანად ან ძირითადად უნდა გამოიყენებოდეს როგორც საცხოვრებელი ადგილი, ნებისმიერი დაკავშირებული ნაგებობის ჩათვლით, მაგალითად, ავტოფარეხი.

**საწარმო** - არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს სა-

კუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). საწარმო ახორციელებს ერთ ან რამდენიმე საქმიანობის სახეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი. საწარმოები ზომის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე. **მსხვილი ზომის საწარმოებს** განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს. **საშუალო ზომის საწარმოებს** მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე. **მცირე ზომის საწარმოებს** მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

**სახელმწიფო საკუთრების ფორმა** - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია.

**საჯარო სამსახური** წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის ნაწილს, რომელიც გვხვდება ხელისუფლების სამივე შტოს - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

**სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას** – წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა თაობიდან იმ პირობით, რომ მოკვდაობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორიც არის მოცემულ პერიოდში.

**სოციალური პაკეტი** – არის ყოველთვიური სახელმწიფო გასაცემელი, რომელსაც ღებულობს საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია, კანონით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

**სქესი** - ფიზიკური და ბიოლოგიური მახასათებლები, რომელიც ქალებსა და კაცებს ერთმანეთისგან განასხვავებს.

**სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას** - ბიჭებისა და გოგონების რიცხოვნობის თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულთა შორის და უჩვენებს ყოველ 100 გოგონაზე რამდენი ბიჭი იბადება.

**ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა)** არის დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმების (მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება, უმწეო მდგომარეობაში ჩაყენება, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება) გამოყენებით, რომლის დროსაც ხდება ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, საკუთარ ან სხვა ქვეყანაში ტრანსპორტირება, ადამიანით მოვაჭრეებისათვის გადაცემა, შეფარება ან/და მიღება მისი ექსპლუატაციის გზით სარგებლის მიღების მიზნით.

**უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი** – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის V-VII საფეხური – საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ საშუალო ზოგადი განათლების შემდგომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას (პროფესიული პროგრამები, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

**უმაღლესი განათლების მეორე ეტაპი** – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის VIII საფეხური - უზრუნველყოფს განათლების მიღებას უმაღლესი განათლების შემდეგ. სწავლება მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მთავრდება დისერტაციის დაცვით მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

**უმუშევარი** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

**უმუშევრობის დონე** – უმუშევართა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

**ფარდობითი სიღარიბე** შეფასებულია ორი სხვადასხვა ზღვრის მიმართ:

• მედიანური მოხმარების 60 %;

• მედიანური მოხმარების 40 %.

**მედიანური მოხმარების 60% და მედიანური მოხმარების 40%** სიღარიბის ფარდობითი ზღვრებია, რომლებიც მთლიანი მოხმარების (სამომხმარებლო ხარჯების) მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან აითვლება.

- მედიანური მოხმარება მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების ისეთი სიდიდეა, რომ მოსახლეობის ნახევარი (50 %) მასზე ნაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი მასზე მეტს მოიხმარს.
- მოსახლეობის ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები შეფასებულია შინამეურნეობების მთლიანი მოხმარების საფუძველზე ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით ერთობლივი მოხმარების (თანაცხოვრების) ეფექტის გათვალისწინებით.

**ფაქტიურად ნამუშევარი საათები** – მოიცავს დროს, რომელსაც საანგარიშო პერიოდში (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) დასაქმებული პირები ხარჯავენ უშუალოდ სამუშაოს შესრულებაზე ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე; ასევე, მოიცავს სამუშაოს დროებით შეჩერებისა და მოკლე შესვენების დროს.

**ქორწინება** – ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

**ქურდობა** – სხვისი ქონების ფარული გატაცება.

**ყაჩაღობა** – თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, დაშინების და ძალადობის გამოყენებით.

**შინამეურნეობა** – ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ექვემდებარებიან ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისგანაც).

**შინამეურნეობის შემოსავლები** – მოიცავს შინამეურნეობის და მისი წევრების ყველა შემოსულობას გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში. მთლიანი შემოსავა-

ლი (ფულადი და არაფულადი სახსრები) შედგება ფულადი შემოსავლებისა და ტრანს-ფერტების, არაფულადი შემოსავლებისა და სხვა ფულადი სახსრებისაგან. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები მოიცავს შემოსავლებს დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონების გაქი-რავებიდან, ანაბრიდან (პროცენტი), პენსიებს, სტიპენდიებს, დახმარებებს, უცხოე-თიდან მიღებულ გზავნილებს და საჩუქრად მიღებულ ფულს. სხვა ფულადი სახსრები მოიცავს ქონების გაყიდვით, ფულის სესხებით ან დანაზოგის გამოყენებით მიღებულ შემოსავლებს.

**შინამეურნეობების ხარჯები** - მოიცავს შინამეურნეობისა და მისი წევრების ყვე-ლა დანახარჯს გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში. მთლიანი ხარჯები შედგება სამომხმარებლო ფულადი ხარჯების, არაფულადი ხარჯებისა და არასამომხმარებლო ფულადი ხარჯებისაგან. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები მოიცავს დანახარჯებს სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, საოჯახო მოხმარების საქონელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე, ტრანსპორტზე, განათლებაზე და სხვა სამომხმარებლო ხარჯებს. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები მოიცავს სასოფ-ლო-სამეურნეო ხარჯებს, დანახარჯებს ტრანსფერტებზე, დაზოგვაზე ან გასესხებაზე და ქონების შეძენაზე.

**შემაკავებელი ორდერი** – პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გა-მოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალა-დობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი** - გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩე-ნილი ბავშვების საშუალო რიცხოვნობა. გამოისახება პრომილებში (‰) და უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას შესაბამისი ასაკის 1 000 ქალზე.

**შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი** - ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუ-ალო რიცხოვნობა. შჯკ უჩვენებს საშუალოდ რამდენ ბავშვს გააჩენდა ქალი მთელი

რეპროდუქციული პერიოდის (პირობითად 15-49 წლის ასაკში) განმავლობაში ყოველ ასაკში, შობადობის იმ წლის დონის შენარჩუნების პირობებში, რომლისთვისაც გაიანგარიშება მაჩვენებელი.

**ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი** – 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე.

**ცოცხლად დაბადება** – ჩასახვის პროდუქტის სრულად გამოძევება ან ხელოვნურად გამოყვანა დედის ორგანიზმიდან, როდესაც პროდუქტი სუნთქავს ან ავლენს სიცოცხლის სხვა რომელიმე ნიშანს, როგორიცაა გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა სხეულის შესაბამისი ნაწილების მოძრაობით. ყველა ასეთი პროდუქტი მიჩნეულია ცოცხლად დაბადებულად, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობისაა ორსულობა, ჭიპლარი გადაკვეთილია ან/და პლაცენტა მოცილებულია საშვილოსნოს კედელს.

**ძარცვა** – სხვისი ქონების აშკარა გატაცება.

**5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი** - 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე.

სტატისტიკური პუბლიკაცია

# „ქალი და კაცი საქართველოში“

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის გაეროს ქალთა ორგანიზაციას (UN WOMEN) და ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (NORAD), რომლის მხარდაჭერითაც მომზადდა პუბლიკაცია.

რედაქტორი: **გოგიტა თოდრაძე**

პასუხისმგებელი გამოცემაზე: **პაატა შავიშვილი**
**ვასილ წაქაძე**
**ლია ჩარექიშვილი**

კრებულის მომზადებაში მონაწილეობდნენ: **მანანა ტაბატაძე**
**გიგა კიკორია**
**ალექსანდრე არაბული**
**თინათინ ქსოვრელი**
**ირმა გვილავა**
**ნინო მაღრაძე**
**მარიამ ყაველაშვილი**
**ზაზა ნიკოლოზიშვილი**
**ფიქრია ღუდუშაური**

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,**
**თბილისი, 0180,**
**ცოტნე დადიანის ქ. 30**
**ტელ.: 236 72 10, შიდა 605/602**
**ფაქსი: 236 72 13**
**ელ. ფოსტა: INFO@GEOSTAT.GE**

ვებ-გვერდი: **WWW.GEOSTAT.GE**

## შენიშვნები